# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 თებერვალი, 2010 წელი.

№21 (6387)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყოვლად უკადრისობაზე უსამაგლესია.

## „სააკაშვილს მშვიდობის თავი არა აქვს, ხოლო ომისთვის - გული“ ④





## ავთანდილ წულაძე: რუსეთი ქართველ იანუკოვიჩს ეძებს ②

## ღვაწლი — კეთილად შობილი და აყვავებული ⑥



*მხოლოდ სიყვარულით მოიპოვებაო თავისუფლება და სიყვარულითვე ამაღლდებითო თავისუფლებაში — აი, მისი ერისადმი მიმართულ „ვედრებათა“ ერთი შთამაგონებელი ფრაგმენტი... ქვეყნის ჭეშმარიტი ერთიანობისა და ყოფიერების მაუწყებელი სიბრძნე და მომავლის ვექტორი...*



## ვახტანგ ყიფიანი: ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, საქართველო-უკრაინის ურთიერთობები გაიყინება ან შეფერხდება ③

## „ქეის ბინძური თამაში პატარკაციშვილის ოჯახის გამარჯვებით დამთავრდა“ ②

## აშშ-ს ნერვების მომშლელი ირანი ⑤

## სებეზერო ურთიერთობები ④ დილეტანტიზმს ვერ ჰგუობს!




## „პრემიერ-მინისტრი მოკლეს“ ⑧

## შევარდნაძე მკვლელობაში ბრალდებას უარყოფს



მიმართვა

# გამოვთქვამთ გულწრფელ სინანულს...

## „ქართული აკადემია“ – უკრაინის საზოგადოებას

ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის გადარჩენის საზოგადოება „ქართული აკადემია“ უკრაინელი ხალხის წინაშე გამოთქვამს გულწრფელ სინანულს იმის გამო, რომ საქართველოს უპასუხისმგებლო ხელისუფლებამ სცადა უხეშად ჩარეულიყო უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებსა და, ამდენად, მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. ეს არის მკაფიო გამოხატულება იმისა, თუ როგორ ესმის საქართველოს ავტოკრატიულ ხელისუფლებას დემოკრატიული ფასეულობები და სახელმწიფოთაშორისი ცივილიზებული ურთიერთობების ფუნდამენტური პრინციპები.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ხელისუფლების ეს პოლიტიკური ავანტიურა ნეგატიურად არ აისახება ჩვენი სახელმწიფოების შემდგომ ურთიერთობებში და ზიანს არ მიაყენებს უკრაინელი და ქართველი ხალხების მჭიდრო და მეგობრულ ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ კავშირებს.

ამასთანავე, ჩვენი საზოგადოება გამოხატავს კმაყოფილებას იმის გამო, რომ მიუკერძოებელმა დამკვირვებლებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს უკრაინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის სამართლიანობა და დემოკრატიულობა. ქართველი საზოგადოება, რასაკვირველია, უპირობოდ ცნობს უკრაინელი ხალხის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამოვლენილ პოლიტიკურ ნებას და თვითონაც ეცდება, საკუთარი ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოშიც მოხერხდეს ისეთი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, როგორც ეს შეძლო უკრაინელმა ხალხმა 2010 წლის 17 იანვარს.

*„ქართული აკადემიის“ წევრები:*

***ზაზა აბაშიძე**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი; **გიორგი ანთელავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ავთანდილ არაბული**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი; **გიგა ბათიაშვილი**, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი; **გია ბურჯანაძე**, საქართველოს დამსახურებული არტისტი; **ერეკლე გამყრელიძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; **თეიმურაზ გოცაძე**, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი; **ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი**, კომპოზიტორი; **აველინა დავითულია**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **გელა დოლიძე**, ფიზიკოსი; **მამუკა დოლიძე**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მალხაზ ზაალიშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; **ივანე კიღურაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; **თამაზ მარსაგიშვილი**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; **ჯემალ მებონია**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ნოდარ მგალობლიშვილი**, საქართველოს სახალხო არტისტი; **ოთარ მელქაძე**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (კონსტიტუციონალისტი), პროფესორი; **ზაზა მრელაშვილი**, მწერალი; **შოთა ნადირაშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; **მაია ნათაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **თემურ ნანეიშვილი**, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **თენგიზ სანაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; **გიორგი ქავთარაძე**, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი; **ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია**, რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი; **დავით ქარქაშაძე**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **გიორგი ჩაგელიშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი; **ნინელი ჭანკვეტაძე**, საქართველოს დამსახურებული არტისტი; **გიორგი ჭუბაბრია**, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი, პროფესორი; **ალექსანდრე ხარაზიშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **მარინა ჯანაშია**, საქართველოს დამსახურებული არტისტი; **მერაბ ჯიბლაძე**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **კოტე ჯანდიერი**, მწერალი-დრამატურგი; **თამაზ ჯოლოგუა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საპატიო წევრი: **ირაკლი ბათიაშვილი**, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.*

*03.02.2010*

***წერილი გამოქვეყნდა უკრაინულ პრესაში.***

სამართალმა პური ჭამა

**ჯოზეფ ქეის ადვოკატებს ამჯერად ბრიფინგის გამართვა დააგვიანდათ. ალბათ, იმიტომ, რომ 1 თებერვალს გიბრალტარის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის მიხედვითაც ბადრი პატარკაციშვილის ქონების იმ წილის 100 პროცენტი, რომელზეც ქეი პრეტენზიას აცხადებდა, ბადრის ოჯახს მიაკუთვნა. სასამართლოს გადაწყვეტილებითვე ქეის აეკრძალა სამომავლოდ განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული ქმედება აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებით და მასვე დაეკისრა ოჯახის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.**

## „ქეის ბინძური თამაში პატარკაციშვილის ოჯახის გამარჯვებით დამთავრდა“

ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი „თბილისი-მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც პატარკაციშვილების ადვოკატების გარდა, ბადრის და – ნანა პატარკაციშვილიც ესწრებოდა. მისი თქმით, **ორი წელიწადია სხვადასხვა სასამართლოში დავა გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში ოჯახს არ ჰქონდა იმ ქველმოქმედების გაწევის საშუალება, რომელსაც ბადრი აკეთებდა. მადლობა ღმერთს, საბოლოოდ, ქეის ბინძური თამაში ჩვენი ოჯახის გამარჯვებით დამთავრდა,** – აღნიშნა მან.

გიბრალტარის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ადვოკატების თქმით, მოსამართლემ ასევე განაცხადა, რომ იურიდიული ქმედებების განხორციელების აკრძალვა ევროპული სასამართლოების პრაქტიკაში საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილებაა, თუმცა ამის მიზეზი გახდა ქეის ქცევა, რომელიც ყოველთვის შემაშფოთებელი იყო და მისი სიცრუე ნათლად ჩანდა. პატარკაციშვილის ოჯახის სასარგებლოდ გამოიტანეს გადაწყვეტილება ინგლისისა და ლიხტენშტეინის სასამართლოებმა, თუმცა ევროპული მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, ქართული სასამართლო ანდერძის აღმსრულებლის უფლებამოსილებას ანიჭებს ქეის, ადამიანს, რომელიც სხვისი ქონების მიტაცების მცდელობაშია მხილებული.

ადვოკატ **ლაშა ბირკაიას** თქმით, ერთი ეტაპი დასრულდა, თუმცა ბრძოლა დამთავრებული არ არის. მთაწმინდის პარკის, ტელევიზიისა და სხვა ქონების შესახებ დავა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში განიხილება, სადაც მოპასუხე არის ქართული სახელმწიფო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოც რატომღაც გულუბრყვილოდ და მიამიტურად ენდობა ჯოზეფ ქეის და მას ბადრის ანდერძის აღმსრულებლად ასახელებს, თუმცა საბოლოო ვერდიქტი გამოტანილი არ არის. გაითვალისწინებს თუ არა ჩვენი მართლმსაჯულება ევროპული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, საეჭვოა.

ამასვე ადასტურებს ექსპერტი **გია ხუხაშვილი**, რომელიც ბრიფინგს დაესწრო. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ **„სამართლიან გარემოში ასეთი საქმის წარმოება არც უნდა დაწყებულიყო. პატარკაციშვილის საქმე ზოგადი მაჩვენებელია იმისა, თუ რა ხდება საქართველოში. თუკი ქართველი მოსამართლეები, რომელთაც თვალი აქვთ დახუჭული, ოდნავ გაახელენ, ბუნებრივია, უცხოელ კანონდამცველთა გადაწყვეტილებებს მათზე ზეგავლენა ექნება. მით უფრო, რომ ევროპელი კანონმდებლები ქეის უზნეო ადამიანად მიიჩნევენ. მაგრამ ვინაიდან პატარკაციშვილის საქმეს საქართველოს ხელისუფლება განიხილავს, როგორც პოლიტიკურ საქმეს, მოსამართლეებისთვისაც პოლიტიკა სამართალზე მაღლა დგას, ჩვენდა სამწუხაროდ“...**

**თეა მოსია**

თემა

# ავთანდილ წულაძე: რუსეთი

**ქართული ოპოზიციის ლიდერთა რუსეთთან დაახლოების სავარაუდო მიზნებსა და შედეგებზე, აგრეთვე – რამდენად რეალისტურად გამოიყურება საქართველოს ნატოში გაწევრებაზე უარის სანაცვლოდ მოსკოვის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა, „ინტერპრესნიუსი“ რუსეთში მცხოვრებ ქართველ მკვლევარს, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, რუსული ინტერნეტგამოცემა „ყოველკვირეული ჟურნალის“ მიმომხილველ ავთანდილ წულაძეს ესაუბრა.**



**– ბატონო ავთანდილ, მას შემდეგ, რაც საქართველოს ექსპრემიერი ზურაბ ნოღაიდელი ვლადიმერ პუტინს შეხვდა, კარასინმა და კოსაჩოვმა ქართული ოპოზიციის ლიდერებს, ნოღაიდელის მსგავსად, მოსკოვში ჩასვლა შესთავაზეს. არაერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა გამოთქვა რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრისათვის მზადყოფნა. ცნობილი გახდა იმის შესახებაც, რომ პუტინი ქართული ოპოზიციის ლიდერებს გაზაფხულზე შეხვდება.**

**თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის ხელისუფლებისა და ქართული ოპოზიციის წარმომადგენლების დაახლოება და რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მათ თანამშრომლობას?**

– კრემლი ცდილობს, კავკასიის რეგიონში არ დაკარგოს ინიციატივა. შარშან საქართველოში ოპოზიციის გამოსვლებმა დაადასტურა, რომ ე.წ. პრორუსული ორიენტაციის პარტიებს და ლიდერებს დიდი ძალა და გავლენა არ ჰქონდათ. ეს არის ნიადაგის შექმნის მცდელობა, რათა პერსპექტივაში, ვთქვათ 2013 წლის არჩევნებზე საქართველოს პრეზიდენტი პრორუსული კანდიდატი გახდეს. აშკარაა, რომ რუსეთი საქართველოში ფსონს არა რევოლუციაზე, მოვლენების სათავისოდ არა სწრაფად განვითარებაზე დებს, არამედ – ქართულ ოპოზიციასთან დაახლოებაზე, ანუ გათვლას გრძელვადიან პერსპექტივაზე აკეთებს. ასე იყო უკრაინაშიც. აშკარაა, რომ რუსეთი საქართველოში ქართველ იანუკოვიჩს ეძებს.

**– შეიძლება, ვივარაუდოდ, რომ რუსეთს საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ფავორიტები ეყოლება და სააკაშვილის შემცვლელების „კასტინგი“ უკვე ღიად გამოაცხადა?**

– ფაქტია, რომ რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებით მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ემზადება. არ ვიცი, საქართველოში ამაზე საუბრობენ თუ არა, მაგრამ მოსკოვში აქტუალური თემაა, ვინ გახდება სააკაშვილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი. ამიტომ, რუსეთის ხელისუფლებისა და ქართული ოპოზიციის დაახლოება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში უნდა განვიხილოდ.

სააკაშვილის შემცვლელად ალასანია მოიაზრებოდა, მაგრამ ოპოზიციის შარშანდელი აქციებისას ალასანია, ოპოზიციის სხვა ლიდერებთან შედარებით, სუსტად გამოიყურებოდა. შარშანდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ალასანია სააკაშვილის შემცვლელის როლისთვის მზად არ იყო. ხელისუფლებისადმი მისი პოზიცია მკაფიო და მკაცრი არ იყო. უდავოა, რომ ისეთი მასშტაბის ლიდერი, როგორიც სააკაშვილია, ოპოზიციას არა ჰყავს. ამას რუსეთშიც ხედავენ და ახლა ჩვეულებრივი რამ ხდება, სააკაშვილის შემცვლელის ძიების პროცესი მიმდინარეობს.

**– ბევრს საუბრობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც ცდილობენ რუსეთის ხელისუფლებასთან მისასვლელი გზების ძიებას. თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებაც ცდილობს მედვედევთან და პუტინთან დიალოგის დაწყებას?**

– ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ ვითარება რომ იცვლება, ფაქტია. ჩრდილოეთ კავკასიაში იმდენად დაიძაბა ვითარება, რომ რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, ჩრდილოეთ კავკასიის დასამშვიდებლად ახალი თანამდებობა შეექმნა, რომელიც ხლოპონინმა დაიკავა. ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო რუსეთისთვის ერთმანეთთან დაკავშირებული თემა და პრობლემაა. ამას ემატება ისიც, რომ აფხაზეთში გარკვეული ანტირუსული განწყობებია. აფხაზებს ადრე ეშინოდათ, რომ საქართველოში დაკარგავდნენ თვითმყოფადობას, მაგრამ ახლა ეშინიათ, რომ რუსეთთან მეგობრობით აფხაზობას ვერ შეინარჩუნებენ. საერთოდ, კავკასია რუსეთისთვის ძალიან დიდი პრობლემაა. ძალით ამ პრობლემის გადაწყვეტა რომ არ გამოვა, მოსკოვმა იცის; ამიტომაც არის, რომ დიპლომატიური და ეკონომიკური ხერხებით ცდილობს კონფლიქტური ვითარებების მოგვარებას.

**– ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც მოსკოვში ჩასვლისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ, აცხადებენ – თუ მოსკოვში მიიღეს პირობა, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარება, მაშინ მზად არიან, უარი თქვან საქართველოს ნატოში გაწევრებაზე. თქვენი აზრით, კრემლთან ქართული ოპოზიციის წარმომადგენლების ამ თემაზე საუბარი რამდენად რეალისტურად გამოიყურება?**

– ახლა რეალისტური ნამდვილად არ არის და აი, რატომ: არის ასეთი ფენომენი, რომელსაც პროპაგანდისტული ხაფანგი ჰქვია.

ვარაუდი

# „ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, საქართველო-უკრაინის ურთიერთობები გაიყინება ან შეფერხდება“



***ინტერვიუ ცნობილ უკრაინელ ჟურნალისტთან, პროექტ „პირველი ასეულის“ ხელმძღვანელთან, ტელეკომპანია TBI-ს მთავარი რედაქტორის მოადგილესთან ვახტანგ ყიფიანთან.***

**— ბატონო ვახტანგ, როგორ შეაფასებთ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურს?**

— პირველი ტური დასრულდა ზუსტად ისე, როგორც იყო პროგნოზირებული. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ძირითადი ბრძოლა იანუკოვიჩსა და ტიმოშენკოს შორის წარიმართებოდა. საუბარი იყო იმაზეც, ვინ გავიდოდა მესამე ადგილზე. განსაზღვრულ ეტაპზე ფიქრობდნენ, რომ მესამე ახალგაზრდა პოლიტიკოსი იაცენიუკი ან თვით იუშჩენკო იქნებოდნენ, თუმცა, როგორც ვნახეთ, მესამე ადგილი ეროვნული ბანკის ყოფილმა ხელმძღვანელმა, მილიარდერმა სერგეი ტიგიპკომ დაიკავა. ახლა იმას, ვინ იქნება უკრაინის პრეზიდენტი, წყვეტს არა ხალხი, არამედ ტიგიპკო, რომელიც ხმათა 13%-ს ფლობს. თუ იგი ბოლო დღეებში მოუწოდებს საკუთარ ამომრჩევლებს, მხარი განსაზღვრულ კანდიდატს დაუჭირონ, ეს ნამდვილად ითამაშებს არსებით როლს ამა თუ იმ კანდიდატის გამარჯვებაში. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტობის ბევრი სხვა კანდიდატი წმინდა ტექნიკურ ფუნქციას ასრულებდა: მათი ნაწილი – ტიმოშენკოს, ნაწილი – იანუკოვიჩს, ნაწილი კი იუშჩენკოს უჭერდა მხარს. შეიძლება, ითქვას, რომ არჩევნები საკმაოდ დემოკრატიულად ჩატარდა. ამაზე მეტყველებს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებიც, რომლებიც არჩევნებს აკვირდებოდნენ. შეგვიძლია ვთქათ, რომ კარგია, რომ უკრაინას სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლია, მაგრამ ცუდია, რომ უკრაინელები ასარჩევ პოლიტიკოსებში ცუდად ერკვევიან.

**— რა მოლოდინებია ამ ეტაპზე უკრაინაში ტიმოშენკოს ან იანუკოვიჩის გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით?**

— განსაკუთრებული მოლოდინები არ არსებობს, რადგან ტიმოშენკოც და იანუკოვიჩიც იმ ჩიხის გაგრძელებაა, რომელშიც ქვეყანა ბოლო რამდენიმე წელია, იმყოფება და ამ კუთხით უკრაინის პრობლემებს არჩევნები ვერ გადაწყვეტს. სამწუხაროდ, ჩვენ უბრალოდ დაძაბულობისა და ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ახალ ეტაპზე გადავალთ.

**— საქართველოსთვის უკრაინა განსაკუთრებული მნიშვნელობის ქვეყანაა, შესაბამისად, არჩევნებსაც თბილისი გულისყურით ადევნებს თვალს. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება თუ არა საქართველოს მიმართ დამოკიდებულება უკრაინის სათავეში ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემთხვევაში?**

— ვფიქრობ, იუშჩენკოს პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოსა და უკრაინას შორის ორმხრივი ურთიერთობების პიკი იყო. ახლა ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში – ტიმოშენკო თუ იანუკოვიჩი, ურთიერთობები გაიყინება ან შეფერხდება, რადგან იანუკოვიჩი პრორუსული პარტიის წარმომადგენელია, რომელიც რუსეთის, პუტინის, მედვედევისა და „ედინაია როსიას“ მიმართ საკუთარი სიყვარულის დემონსტრირებას ახდენს. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს სწორედ იანუკოვიჩის პარტია „რეგიონები“ გამოდიოდა დე ფაქტო ხელისუფლებების აღიარების მოწოდებით. პრინციპში, ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც შეიძლება, ანტიქართულად ჩაითვალოს, ამიტომ იანუკოვიჩის ხელისუფლებაში მოსვლა, რომელიც ზოგადად ხელისუფლების ვერტიკალის ცვლილებას გამოიწვევს, ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებზეც უარყოფითად იმოქმედებს და მათ კრახს განაპირობებს. რაც შეეხება ტიმოშენკოს, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ეს სიტუაცია უბრალოდ გადავადდება, რადგან მას გარკვეული სენტიმენტები აქვს სააკაშვილის და საქართველოს მიმართ, რომელთაგანაც პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღო. ამასთან, იგი ძალიან პრაგმატული ადამიანია და თუ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას ვერ მიიღებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას არც ის გამოიჩენს, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც ამას იუშჩენკო აკეთებდა. მაგალითად, ტიმოშენკო და იანუკოვიჩი არასოდეს მოიქცევიან ისე, როგორც იუშჩენკო – ომის დროს, როცა ყველაფერი დატოვა და საქართველოში ჩავიდა, რათა დასავლელ ლიდერებს გვერდით დასდგომოდა და ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაეცვა. ტიმოშენკო გაცილებით პრაგმატული და ცინიკური პოლიტიკოსია, ვიდრე იუშჩენკო. თუმცა ვფიქრობ, ადამიანურ დონეზე ორი ქვეყნის ურთიერთობებში პრობლემა არც ახალი პრეზიდენტის პერიოდში იქნება.

**— თქვენ პარტია „რეგიონების“ მიერ აგვისტოს ომის დროს გაკეთებული განცხადებები გაიხსენეთ. აქედან გამომდინარე, რამდენად მოსალოდნელია, რომ იანუკოვიჩის გაპრეზიდენტების შემთხვევაში უკრაინამ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს გადახედოს?**

— ვფიქრობ, რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე საქმე არ მივა, რადგან ეს თავად უკრაინაში ღრმა პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს. საქმე ისაა, რომ მსგავსი პრობლემები უკრაინასაც აქვს. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებმა რამდენიმე წლის შემდეგ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარონ. ამ კონტექსტში ის პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც ასეთი დაპირებების დეკლარირებას ახდენენ, ამას არა ამომრჩევლისთვის აკეთებენ, რომელსაც ეს საკითხი სულ არ აინტერესებს, არამედ რუსული ისტებლიშმენტისთვის. უფრო ზუსტად, ამ ეტაპზე ისინი ამის დეკლარირებას არაფორმალურად ახდენენ და დარწმუნებული ვარ, იურიდიულ აღიარებამდე საქმე არ მივა, თუმცა ეს საქართველოსა და უკრაინას შორის ცუდ კვალს ნამდვილად დატოვებს. მე ასეთი პოლიტიკის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ვიმედოვნებ, რომ უკრაინის მოქალაქეებს გაცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა, როცა იანუკოვიჩს ირჩევენ. ის შიდა პოლიტიკაში ბევრ შეცდომას უშვებს, საგარეო პოლიტიკაში კი საერთოდ ვერ ერკვევა. მას ყოველთვის ერევა ქვეყნები, საერთაშორისო შეთანხმებები, მოკლედ, იგი ცუდად ერკვევა პოლიტიკურ ცხოვრებაში. გაგახსენებთ მის უკანასკნელ „ექსპრომტს“, როცა ანტონ ჩეხოვი „დიდ უკრაინელ პოეტად“ მოიხსენია. შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რას იტყვის იგი საერთაშორისო არენაზე. ვიმედოვნებ, უკრაინის მოქალაქეებს ეს ყველაფერი ესმით და არჩევანს მის საწინააღმდეგოდ გააკეთებენ.

**— ასევე მინდა, ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალზე გკითხოთ. თქვენი ინფორმაციით, რატომ არ დაარეგისტრირეს ისინი რეალურად?**

— ყველაფერი სწორად რომ გაკეთებულიყო, შესაძლოა, ეს სკანდალი არც მომხდარიყო. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთ უკრაინის – დონეცკის პოლიტიკური ელიტა ძალიან ჩაკეტილია, ამ რეგიონში უცხოები არ დადიან. არჩევნების დროს ქვეყნის ამ ნაწილში ხმათა 70%-ს ყოველთვის ერთი პარტია იღებს, რომელიც ყოველთვის სრულად იქვემდებარებს რეგიონს, ამდენად დონეცკის ოლქში უცხოების შეღწევის მცდელობა ყოველთვის აგრესიას და დაძაბულობას იწვევს. ქართველი დამკვირვებლები სწორედ დონეცკის რეგიონში მოხვდნენ. მეჩვენება, რომ ყველაფერი არაკორექტულად იყო გაკეთებული ქართველი ორგანიზატორების მხრიდანაც, რომლებმაც დამკვირვებლები გააგზავნეს. ეს ნამდვილად გამოიყურებოდა, როგორც ჩუმი მასა, ფიზიკურად ძლიერი ადამიანები, რომელთაც თითქოს არჩევნების ჩაშლა სურდათ. ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ ყველა ერთ რეგიონში არ ჩასულიყო და მაშინ ეს აღარ იქნებოდა მიზეზი მკვეთრი ანტიქართული ისტერიისა. ის, რომ ისინი არ დაარეგისტრირეს, ნამდვილად კანონდარღვევაა, თუმცა მეორეს მხრივ, არსებული მონაცემებით, უკრაინაში არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ისინი. შესაბამის ბლანკებში ქართველ დამკვირვებელთა უმრავლესობა სამუშაო ადგილს არ უთითებდა, ჩამოსვლის მიზეზს კი ყველა განსხვავებულად წერდა. უფრო ზუსტად, ისინი არ იყვნენ მზად იმისთვის, რომ ერთიანი პოზიცია დაეფიქსირებინათ: ჩვენ ვართ დამკვირვებლები და ამ სფეროში გამოცდილება გვაქვს. ეს ყველაფერი რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, სკანდალიც არ იქნებოდა.

**— მას შემდეგ, რაც უკრაინის უმაღლესმა რადამ ქვეყნის შს მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ამ უკანასკნელმა – იური ლუცენკომ ქართველი დამკვირვებლების პარტია „რეგიონებთან“ შეთქმულების შესახებ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ პოლიგრაფიული კომბინატის დაკავებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ ქართველ დამკვირვებლებს ამჯერად ტიმოშენკოს მომხრეები ადანაშაულებენ?**

— ლუცენკო არცთუ მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული პოლიტიკოსია. არ ვიცი, რის საფუძველზე გააკეთა მან მსგავსი განცხადება, მაგრამ ჩემთვის, როგორც მკითხველისა და ადამიანისთვის, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს ადევნებს თვალს, იანუკოვიჩისა და ტიმოშენკოს გუნდების დაპირისპირებაში ქართველი დამკვირვებლების გარევის მცდელობები გაუგებარია. თუ ეს ლუცენკოს მხრიდან უბრალოდ 2-3 ქულის ჩაწერისა და რომელიმე ეთერში მიწვევის უზრუნველყოფის მცდელობა იყო, ეს სულ მცირე, უპასუხისმგებლობაა. ხოლო თუ ქართველების მხრიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი კანონდარღვევას, მაშინ ლუცენკოსაც კანონის მიხედვით უნდა ემოქმედა, დაეკავებინა ისინი, განცხადების გაკეთებისას კი შესაბამისი მტკიცებულებებიც წარმოადგინა, თუმცა, როგორც ვიცით, ყოფილ მინისტრს არც მტკიცებულებები წარმოუდგენია და არც ვინმეა დაკავებული. აქედან გამომდინარე, მის შესახებ შემიძლია, ვთქვა, რომ ის უბრალოდ მოლაყბეა და უფლება არ აქვს, მსგავს თემებზე ისაუბროს. ლუცენკო ცუდი მინისტრი იყო, ამიტომაც მოხსნეს და ის ფაქტი, რომ ის ტიმოშენკოს კადრად მოიაზრებოდა, ტიმოშენკოს ხმებს არათუ არ უმატებდა, პირიქით, ართმევდა.

იხ. 4 გვ.

თემა

# ქართველ იანუკოვიჩს ექებს

იცით ალბათ, რამდენი საუბარია კურილიის კუნძულების იაპონიისთვის გადაცემაზე. რუსეთისთვის ამ კუნძულს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუ რუსეთი მართლაც გადასცემს იაპონიას ამ კუნძულებს, რუსეთში ატყდება ერთი ყიჟინა, რომ ხელისუფლება სამშობლოს ყიდის, რაც ხელს შეუწყობს ხელისუფლების სახის დაკარგვას, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყანა „მუხლებიდან წამოდგა“. იგივე მოხდება იმ შემთხვევაშიც, თუ კრემლის ლიდერები ახლა განაცხადებენ, რომ საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უბრუნებს. ამას მოსახლეობა ისევე შეაფასებს, როგორც, თავის დროზე, გორბაჩოვის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დასავლეთისთვის ჩაბარებას. ამ ნაბიჯზე პუტინი ვერც და არც წავა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მკაცრად დასჯის ინიციატორი სწორედ პუტინი იყო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მისი, როგორც რუსი ჯეიმს ბონდის, იმიჯი მნიშვნელოვნად შეირყევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით რუსეთში ლიად მიმდინარეობს ანტიქართული პროპაგანდა. პუტინი იმპერიის დანგრევაზე წუხილს ხშირად გამოთქვამს და ახლა რომ მან საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე რამე თქვას, ამას რუსეთის მოსახლეობა მისსავე დამარცხებად შეაფასებს.

**— ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების სანაცვლოდ ნატოზე უარის თქმის თემა არ შეიძლება იყოს მოსკოვსა და თბილისს შორის ვაჭრობის საგანი? ლავროვმა უკვე განაცხადა, რომ ამგვარი წინადადება „ეგზოტიკურად გამოიყურება“, მაგრამ მოსკოვი საქართველოსთან პრინციპებით ვაჭრობას არ აპირებს...**

— დღევანდელ სიტუაციაში გამორიცხულია, მაგრამ ამ თემისთვის რომ შესაბამისი ნიადაგი მომზადდეს, ამას წლები დასჭირდება. ვგულისხმობ რუსეთში პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი, კერძოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხისადმი მიდგომების ცვლილებას. ახლა რუსეთში ბევრს საუბრობენ თუ საბჭოთა კავშირის არა, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის აღდგენაზე, რასაც ამერიკა და ევროპა უშლის ხელს. რუსეთში, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენის საწინააღმდეგოდ შეიძლება მოხდეს, სამშობლოს ღალატად ფასდება. ასეთი აზრის დამკვიდრებას თავად პუტინმა შეუწყო ხელი და მას ძალიანაც რომ უნდოდეს, ახლა საქართველოსთან „აშკარა დათმობების“ გზას ვერ დაადგება.

**— თუ მოსკოვი თბილისთან დიალოგის დაწყებასა და ურთიერთობების აღდგენას ყოველგვარი პირობების გარეშე აპირებს, კრემლის გეგმით საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას უნდა შეეგუოს, მაშინ ქართული ოპოზიციის მოსკოვის მიმართულებით გააქტიურება რას უნდა ნიშნავდეს?**

— რაც შეეხება ოპოზიციის მოტივაციას, ოპოზიცია ქვეყნის შიგნით კარგავს პოლიტიკურ გავლენას და ამ გავლენის აღდგენას ცდილობს. ყველა მიხვდა, რომ სააკაშვილი საკმაოდ ბევრად ძლიერი ლიდერია და მასთან კამათი ძნელია. რასაც ქართული ოპოზიციის ლიდერები ახლა აკეთებენ, ჩვეულებრივი მოვლენაა და სხვა ქვეყნებშიც ხდება. დემოკრატიისთვის ამგვარი რამ აბსოლუტურად ნორმალური პროცესია.

**— შედეგის თვალსაზრისით, რა სასიკეთოს მოტანა შეუძლია ამ პროცესს ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის?**

— პრაქტიკულად – არაფრის. ერთადერთი შესაძლოა, ოპოზიციის ლიდერების რუსეთის ხელისუფლებასთან კონტაქტებმა შეარბილოს რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით საქართველოსთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

**— ანუ შეიძლება ორ ქვეყანას შორის აღდგეს ვაჭრობა, საჰაერო მიმოსვლა, ლარსის გამშვები პუნქტი გაიხსნას, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში ძვრა არ იქნება?**

— კი ასეა. მოსკოვის პოზიცია ცხადია – კრემლს უნდა თბილისთან ურთიერთობების აღდგენა და მერე ვნახოთო. თანაც, მოსკოვი დასავლეთს ეტყვის, რომ საქართველოსთან დიალოგი აღადგინა, მაგრამ ურთიერთობას იმ საკითხებში, რაც საქართველოს პირველ რიგში ყველაზე მეტად აინტერესებს - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რეალური პერსპექტივა არ ექნება. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან რუსეთში ამ პრობლემის გადაწყვეტის რეალურ საშუალებებს ვერ ვხედავ.

**— შეიძლება თუ არა ვივარაუდოდ, რომ ვითარების შეცვლას ხელი შეუწყოს ნოღაიდელის პარტიის მიერ „ედინნაია როსიასთან“ თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებამ?**

— ჩემი შეფასებით, ქართველ პოლიტიკოსებს გადამეტებულად იდეალისტური დამოკიდებულება აქვთ იმ პროცესებზე, რაც რუსეთში ხდება. რუსეთში მალე კაცი არ დარჩება, რომ „ედინაია როსიას“ არ აგინებდეს და რა ელის ამ პარტიას - არავინ არ იცის. ასე რომ, თუ ვინმეს „ედინაი როსიასთან“ უნდოდა თანამშრომლობა, ეს ცოტა ადრე რომ გაეკეთებინა, შესაძლოა, გასაგები ყოფილიყო; ახლა კი, ამგვარი თანამშრომლობა აშკარად დაგვიანებულად მეჩვენება.

ახლა რუსეთში „ედინაი როსიას“ საყოველთაო კრიტიკის ეპოქა დაიწყო და რით დასრულდება ამ პარტიისთვის მარტში დანიშნული ადგილობრივი არჩევნები, არავინ იცის. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთის პოლიტიკური სისტემა ტრანსფორმაციის პროცესშია და პროგნოზირება, თუ რით დასრულდება ეს ტრანსფორმაცია, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

**კობა ბენდელიანი**

ოპოზიციური პოლიტიკა

# „სააკაშვილს მშვიდობის თავი არა აქვს, ხოლო ომისთვის – გული“

## შეძლებს თუ არა გარმონი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შეცვლას?

**„ახლა ვფიქრობ, ვისთვის უფრო მტკივნეული იყო, მათთვის, ვისაც სოხუმის დატოვება მოუწიათ, თუ, ვინც აქ დავრჩით?! ის თბილი ურთიერთობა, ალბათ, არასოდეს განმეორდება. აქ უცხო სახეებს ვხვდები. ღმერთმა ქნას, ჩვენმა შვილებმა მაინც გაიგონ, რას ნიშნავს მორალური ურთიერთობები ადამიანებს შორის“, — ეს ერთი აფხაზის წერილია ქართველისთვის გამოგზავნილი. და სანამ ამ წერილის ავტორი ცოცხალია, მანამდე უნდა ვეცადოთ კეთილმეზობლობის აღდგენას.**

ასეთი განწყობა გასდევდა შეხვედრას, რომელიც ზურაბ ნოღაიდელის ინიციატივით გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წევრებთან. სასტუმრო „ბესტიში“ პრაიმერში მონაწილეობის მსურველი პარტიების წევრებიც შეიკრიბნენ, მათ შორის კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური.

დარბაზში ყველა თანამოაზრე აღმოჩნდა, რადგან საზოგადოებას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ საქართველოს მომავალს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარება განსაზღვრავს. უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო ნოღაიდელის ინიციატივით შემდგარი პირველი შეხვედრა. მსგავსი შეკრებები ადრეც მოეწყო. სწორედ ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე გადაწყდა ნოღაიდელის რუსეთში ვიზიტი.

აფხაზეთიდან დევნილ ინტელიგენციას კარგად აქვს გაანალიზებული, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მშვიდობიანი სტრატეგია ვერ გადაწყვეტს კონფლიქტს ორ მოძმე ერს შორის, თუ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში დათბობის ხანა არ დადგა.

**კობა დავითაშვილმა** დარბაზს საკუთარი თეზისი წარუდგინა. მისი ვარაუდით, **„უმჯობესია კაზაკებით დასახლებული აფხაზეთის დაბრუნების ნაცვლად, ქართულმა მხარემ ხელი შეუწყოს მოჰაჯირების საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებას. თუმცა ეს უნდა მოხდეს ქართველი დევნილების დაბრუნების პარალელურად“.**

ამ იდეას გამოეხმაურა ჟურნალისტი **თენგიზ პაჭკორია,** მისი თქმით **„იგივე თქვა ბაღაფშმა წელიწადნახევრის წინათ, მაგრამ რუსებმა ამის გამო მკაცრად დატუქსეს“.** ითქვა ისიც, რომ სოხუმში მოჰაჯირების რამდენიმე ოჯახი დაბრუნებულა თურქეთიდან, მცირე ბიზნესიც აუწყიათ, მაგრამ კვლავ უკან გაბრუნებულან. ამ თემას გამოეხმაურა ზურაბ ნოღაიდელი, რომელმაც იდეას უპერსპექტივო უწოდა, ხუთი ათეული წელი მაინც...

მაშინ რა შეიძლება იყოს გამოსავალი? — ნოღაიდელს მთავრობის სტრატეგიაც არ მოსწონს. ის ამბობს, რომ **„სააკაშვილის ხელისუფლების ხელში არც მშვიდობიანი და არც საომარი მოქმედებების პირობები არ არსებობს. სააკაშვილს მშვიდობის თავი არა აქვს, ხოლო ომისთვის — გული“.**

დარბაზში დიდი ემოცია და დებატები მოჰყვა **დიმა ჯაიანის** მონანიებას. მან აღიარა, რომ საკმაოდ მკაცრი ტონით ელაპარაკებოდა აფხაზებს ორი ათეული წლის წინათ აფხაზეთში გამართულ მიტინგებზე. დიდხანს ისაუბრეს ადამიანურ ურთიერთობებზე, მიმოწერებზე, იქ დარჩენილ აფხაზთა სატკივარზე. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი მოჰყვა აფხაზეთში გურამ ოდიშარიას პიესის მიხედვით დადგმულ თემურ ჩხეიძის სპექტაკლს „ზღვა, რომელიც შორია“. **ადა მარშანიამ** სურვილი გამოთქვა, ყველამ ნახოს ეს დადგმა და საყვედურიც თქვა იმის გამო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ გადასცემს მას. **„ჩვიდმეტი წელი გავიდა, რაც აფხაზეთი დავკარგეთ, მაგრამ ჩვენ აფხაზეთი გვწყურია. საქართველოს უძლიერესი იარაღი არის ჩვენი კულტურა და რატომ არ ვიყენებთ?!** — დასძინა მან.

აღმოჩნდა, რომ კულტურას, მართლაც შეუძლია, პოლიტიკაზე ზეგავლენა. აფხაზეთის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელს დიმა ჯაიანისთვის გარმონი უთხოვია (მხოლოდ თბილისსა და ბათუმში აკეთებენ იმ გარმონს, რომელიც კავკასიურ ფოლკლორს უხდება). იგივე უთხოვიათ თენგიზ პაჭკორიასთვისაც. დიმა ჯაიანს ხელისუფლების წარმომადგენლისთვის შეუთავაზებია იდეა, რომ დოლი და გარმონი გაეგზავნათ საქართველოდან აფხაზური ანსამბლისთვის. სულ 4 ათასი დოლარი სჭირდებოდა ამ მეგობრული ჟესტის გამოხატვას, მაგრამ უარით გაისტუმრეს.



**ზურაბ ნოღაიდელმა** ამ პირობის შესრულება აღუთქვა დარბაზს. ასევე დაჰპირდა, რომ ეცდება საკუთარი არხების გამონახვას და აფხაზეთში რამდენიმეკაციანი დელეგაციით ჩასვლას. დიდი სურვილი აქვს, რომ „ზღვა, რომელიც შორია“ აფხაზმა მაყურებელმაც ნახოს.

**ზვიად ძიძიგურიც** დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირად კავშირებს აქ მცხოვრებ დევნილებსა და აფხაზებს შორის, რომელსაც, მისი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკურმა სპექტრმა. მათ შორის, უმთავრესად მიიჩნევს სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას და რკინიგზის გახსნას, რაც თავისთავად მარტივი პროცესი არ არის.

შეხვედრაზე ძალიან ბევრი ითქვა ქართველთა შეცდომებზე, წარსულში გაუაზრებელ ნაბიჯებზე, იმ საერთოზეც, რაც ქართველებსა და აფხაზებს აქვთ: კავკასიური მენტალიტეტი — ვაჟკაცობა, ის რომ, თუ დავუბრუნდებით კავკასიურ ფესვებს, უფრო ადვილად შეიძლება დიალოგის დაწყება. **შეხვედრაზე დაისვა უმთავრესი კითხვა — შეძლებენ თუ არა ქართველები დაბრუნდნენ აფხაზებისა და ოსების გულებში?! სამწუხაროდ, კითხვით-ძახილის ნიშანი ამ წინადადების ბოლოს როდემდე დაისმება, ჯერ ნაადრევია პროგნოზის გაკეთება. მაგრამ მთავარია, რომ ამის სურვილი გაჩნდა. გაჩნდა სახელმწიფო სტრატეგიაშიც, ფორმალურად ქაღალდზე მაინც და გაჩნდა იმ ოპოზიციაშიც, რომელიც აქამდე ამ საკითხზე ბევრს არაფერს ამბობდა. არადა, ფაქტია, რომ ნოღაიდელი იზამს თუ სხვა — ყველა გზა უნდა მოისინჯოს აფხაზებისა და ოსების შესარიგებლად... თუმცა ყველა სხვა ოპოზიციონერისგან განსხვავებით, ნოღაიდელი აფხაზური ენის შესწავლას უკვე შეუდგა.**

**თეა მოსია**

ვაყენებთ საკითხს

# საბაზრო ურთიერთობები დილეტანტიზმს ვერ გუობს!

## თეორიული და გამოყენებითი ხასიათის ეკონომიკის კურსს ყველა უნდა სწავლობდეს

**იქნებ ბევრმა თქვას კიდეც, რა საჭიროა დღევანდელობისთვის ამ აქსიომურ ჭეშმარიტებაზე წერა და მსჯელობა, მით უფრო, თეორიული ხასიათისაო, მაგრამ, გვჯერა, წერილის წაკითხვის შემდეგ ისინიც დაგვეთანხმებიან საკითხის დაყენების მართებულობაში.**

საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებას სწავლობს მეცნიერების სხვადასხვა დარგი, მისი ეკონომიკური განვითარების პროცესს კი აანალიზებს და შეისწავლის ეკონომიკის მეცნიერება, რომლის პრინციპების ყოველმხრივ და უფრო ინტენსიურად შესწავლა-შემეცნებას საზოგადოების ყველა წევრისთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ეს ლამის ანბანური ჭეშმარიტებაა, რადგან ვინც ეკონომიკას, მისი პრინციპების საწყისებს უკეთ იყო და არის დაუფლებული, მათთვის მუდამ უფრო ადვილი გახლდათ და ახლაც იოლია სამეურნეო საქმიანობის რაციონალურად წარმართვა ოჯახის ბიუჯეტის მოთხოვნათა შესაბამისად.

**და მაინც ისმის კითხვა: რატომ უნდა დაიწყოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოების ყველა წევრმა ეკონომიკის, მისი პრინციპების უფრო ინტენსიურად შესწავლა?**

**პირველი** და უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვერც ერთი ქვეყნის სპეციალისტს ვერ ექნება სრულყოფილი განათლება ეკონომიკის, მისი პრინციპების შესწავლისა და მყარი ცოდნის გარეშე. საერთოდ ეკონომიკის პრობლემების შესწავლა საზოგადოებაში ცხოველ ინტერესს იწვევდა და იწვევს დღესაც, ვინაიდან იგი აშუქებს ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხთა ფართო წრეს, რომლებიც აინტერესებს და ეხება საზოგადოების ყველა წევრს;

**მეორე** მიზეზი ისაა, რომ ყველა ასაკის ადამიანს და, განსაკუთრებით, XXI საუკუნის სტუდენტ ახალგაზრდობას ეკონომიკის, მისი პრინციპების შესწავლა დაეხმარება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შეცნობაში. ეკონომიკასთან მიმართებაში ჩნდება მრავალი კითხვა, კერძოდ, რატომ აქვს სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას განსხვავებული ღირებულება, ფასი და ა. შ.

**მესამე** მიზეზი ისაა, რომ სტუდენტი ახალგაზრდები ეკონომიკის, მისი პრინციპების შესწავლით უკეთ გაიგებენ ცხოვრების ეკონომიკურ არსს, გაარკვევენ, სად ისწავლონ, სად იმუშაონ, როგორ ხარჯონ შემოსავალი, რამდენი დაზოგონ და სხვა;

**მეოთხე** მიზეზი ისაა, რომ სტუდენტ ახალგაზრდობას ეკონომიკის, მისი პრინციპების შესწავლა დაეხმარება, კარგად და ადვილად გაერკვეს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობაში, განსაზღვროს, რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭიროს მხარი და რატომ და ა. შ.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საზოგადოების ყველა წევრს და, განსაკუთრებით, სტუდენტ ახალგაზრდობას ეკონომიკის, მისი პრინციპების შესწავლა ქმედითად შეუწყობს ხელს მრავალი საკითხის ადვილად და კარგად გარკვევის პროცესში.

ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ადამიანთა მიერ ეკონომიკის საკითხებში საფუძვლიანი ცოდნის მიღება და მომავალში მისი ჯეროვნად გამოყენება მოითხოვს ეკონომიკის განვითარების ისტორიის ცოდნას.

და რაკი მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა და პროცესი განხილული აქვთ თვით ანტიკური სამყაროს წარმომადგენლებს — ქსენოფონტეს, პლატონს, არისტოტელეს, ძველი ეგვიპტის, ჩინეთის მოაზროვნეებს, საჭიროა მათი არსებითად შესწავლაც.

ეკონომიკის შინაარსის მრავალი დებულება საწყისის სახით მოცემულია არისტოტელეს ნაშრომებში. იგი პირველად შეეხო არაერთ ეკონომიკურ კატეგორიას და გამოავლინა მათ შორის ურთიერთკავშირი, მან აღმოაჩინა საქონლის ორი თვისება — სახმარი და საცვლელი ღირებულება, დაინტერესდა, თუ რით განისაზღვრება საქონლის საცვლელი თანაფარდობა და სხვა.

მას თავისი შეხედულება აქვს გამოთქმული ფულის წარმოშობისა და მისი ფუნქციების შესახებაც. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფულს აქვს თვისება, მესაკუთრეს მოუტანოს ახალი „ფული“.

ეკონომიკას, სხვა მეცნიერების მსგავსად, აქვს თავისი ცნებები და კატეგორიები, რომელთა არსში წვდომა და გაცნობიერება აუცილებელია საზოგადოებისთვის. ასე, მაგალითად, სამეურნეო ცხოვრებაში ყველასთვის პრაქტიკულად სასარგებლოა იმის ცოდნა, თუ რა ელემენტებისგან შედგება საქონლისა და მომსახურების ღირებულება, როგორ გამოავლენს ფული ღირებულების რაოდენობრივ მხარეს, რა სარგებლობა მოაქვს ოჯახისა და ბიზნესბლოკისთვის ბიუჯეტს, ურთიერთშემცვლელი და ურთიერთშემავსებელი საქონლისა და მომსახურების პრაქტიკულად ცოდნას, იმის ცოდნას, თუ როგორ გამოხატავს ფასი მათ ღირებულებას, რა არის და როგორ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების ღირებულებაზე ფასისმიერი და არაფასისმიერი ფაქტორების გავლენა, როგორ განისაზღვრება მოხმარება და რა გავლენას ახდენს მოთხოვნა და მიწოდება საქონლისა და მომსახურების ფასზე, რა მნიშვნელობა აქვს ეროვნული და საოჯახო სამომხმარებლო დანაზოგს, რა მნიშვნელობა აქვს და როგორ განისაზღვრება კონკრეტული ბაზარი, მისი ეფექტიანობა, რა არის წარმოების ფაქტორები და რისგან შედგება წარმოების დანახარჯები, მოგება, დივიდენდი, როგორ განისაზღვრება კონკურენცია, მონოპოლია, ოლიგოპოლია, დუოპოლია, მონოპსონია, რა არის დეფლატორი, წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა, ეროვნული შემოსავალი, ეროვნული სიმდიდრე, ცხოვრების დონე, სიღარიბე, მისი სახეები.

აუცილებელია იმის ცოდნა, რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ზრდას და რით განსხვავდება ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთისგან, რა არის და რაში გამოიხატება ინფლაციისა და უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის როლი და მნიშვნელობა, რა არის ღია და დახურული ეკონომიკა, ექსპორტი, იმპორტი და წმინდა ექსპორტი, რა არის და როგორ ხორციელდება ნებისმიერ ქვეყანაში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა და სხვა, რომელთა ეკონომიკური შინაარსის ცოდნა აუცილებელია განვითარების თანამედროვე პირობებში.

ჩამოთვლილი ეკონომიკური ცნებებისა და კატეგორიების თეორიულ-შინაარსობრივი განსაზღვრისა და პრაქტიკულად გამოყენების მექანიზმების შესახებ ამომწურავ და დასაბუთებულ პასუხს იძლევა ეკონომიკის, მისი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: **ეკონომიკა, მისი პრინციპების კურსი უნდა იკითხებოდეს უმაღლეს სასწავლებელთა ყველა ფაკულტეტზე — ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტზე სრული კურსის — ორი სემესტრის, ხოლო დანარჩენ ფაკულტეტებზე კი მოკლე კურსის, ანუ ერთი სემესტრის განმავლობაში.**

**ამის აუცილებლობა-საჭიროება, დარწმუნებული ვართ, ჩვენზე არანაკლებ კარგად მოეხსენებათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რომლებიც, იმედია, სათანადო ღონისძიებებსაც განახორციელებენ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის.**

**პარმენ ლემონჯავა, ანზორ აბრალავა,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

გლობუსი

# აშშ-ს ნერვების მომშლელი ირანი

## ირანის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით

**რა ხანია მსოფლიოს პოლიტიკოსთა და მედიის განსჯის საგანი ირანის ისლამური რესპუბლიკა და მისი ბირთვული კვლევაა. ირანისადმი გარკვეული ინტერესი გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აგორებულმა მღელვარებამ გამოიწვია. მკითხველმა იცის, რომ გასული წლის არჩევნებში ხმათა 63 პროცენტით პრეზიდენტობა შეინარჩუნა აჰმადინეჟადმა, ხოლო მისმა მოწინააღმდეგე მუსავიმ ხმათა 30 პროცენტი მიიღო. თუმცა ამ ძუნწი სტატისტიკით საქმე არ დამთავრებულა, პირიქით დაიწყო და სხვადასხვა ამპლიტუდით დღემდე გრძელდება.** რეგიონის ერთ-ერთ სტაბილურ ქვეყანაში ოპოზიციური ძალების მიერ ორგანიზებული გამოსვლები, მიტინგები, დემონსტრაციები, პოლიციასთან შეტაკებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დასავლური მედია განსაკუთრებული გულმოდგინებით აშუქებდა ირანულ მოვლენებს, რომლის დროს მისთვის ჩვეული თავდაჯერებით ქოქოლას აყრიდა, როგორც ხელისუფლებას, ისე სახელმწიფო-პოლიტიკურ სისტემას, რითაც მის საწინააღმდეგო განწყობას ჰქმნიდა მსოფლიოს საზოგადოებაში. თავის მხრივ ირანის ხელისუფლება ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში დასავლეთს ადანაშაულებდა, მის სპეცსამსახურებს, დიპლომატიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუნდაც ჩვენთვის, ვარდების რევოლუციის მსხვერპლთათვის. სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების ძალისხმევით განხორციელდა პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციები. ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ჰამენეის ერთ-ერთ გამოსვლაში ხაზგასმით ითქვა, რომ ირანი საქართველო არ არის, სადაც ასე იოლად გაიხარებს ექსპორტირებული რევოლუციაო.

**ირანისადმი ჭარბი დასავლური ყურადღების მიუხედავად, რაც ძირითადად ქიშპსა და დაპირისპირებაში გამოიხატება, ნაკლებად შეინიშნება ამ ქვეყნისადმი სიღრმისეული დაინტერესება, თუნდაც მისი სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის გაანალიზების მცდელობის სურვილი, სახელმწიფო მმართველობაში რელიგიის როლისა და მნიშვნელობის შეფასება. დასავლური გაგებით ირანი ავტორიტარული სახელმწიფოა, მაგრამ არა დიქტატორული, თუმცა რამდენად ავტორიტარულია, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს ძნელია მისი შედარება რეგიონის მართლაც ავტორიტარულ-დიქტატორულ სახელმწიფოებთან.** ირანის ისლამურმა მმართველობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისუფალი არჩევნების გამართვის საქმეში. შაჰის რეჟიმის შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნები ყოველგვარი პრობლემის და გართულების გარეშე ჩატარდა, გამონაკლისი გასული წლის არჩევნებია. 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც შედარებით უცნობი პირი, თეირანის მერი, უნივერსიტეტის პროფესორი აჰმადინეჟადი იღებდა მონაწილეობას, ძნელი სავარაუდო იყო, რომ ის და არა ყოფილი პრეზიდენტი, ცნობილი პოლიტიკოსი რაფსანჯანი გაიმარჯვებდა.

სხვა სურათი იყო 2009 წელს. აჰმადინეჟადის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა ჰათამიმ უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად უზენაესმა ხელისუფალმა (რაჰბარმაძ აიათოლა ალი ჰამენეიმ გამარჯვებულად აჰმადინეჟადი ცნო, ხოლო მის მოწინააღმდეგე რეფორმატორებს ეშმაკის მსახურები უწოდა. ოპოზიციური ძალები არ შეეგუენ ჰამენეის განცხადებას და გააგრძელეს საპროტესტო მანიფესტაციები. ბოლოს, ადგილი ჰქონდა წელს, აიათოლა მონთაზერის გარდაცვალების დროს. პოლიციასთან შეტაკებას მსხვერპლიც მოჰყვა. ქვეყნის ხელისუფლებამ სტაბილურობის აღდგენის მიზნით უმკაცრეს ზომებს მიმართა. დემონსტრანტთა გარკვეული ნაწილი დაპატიმრებულ იქნა. თერთმეტ მათგანს სიკვდილი მიესაჯა. არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატის გამარჯვების გარდა საჭიროა უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტის — რაჰბარის კურთხევაც. თვით რაჰბარს არა ხალხი, არამედ სულიერი მამები-ექსპერტები ირჩევენ.

**შიიზმი ირანის ძირითადი რელიგიაა. მსოფლიოს 1.5 მილიარდი მუსლიმანიდან, მხოლოდ 20 პროცენტია შიიტი. დანარჩენი სუნიტებია. შიიტები ჭეშმარიტ ჰალიფად იმამ ალი იბნ-ტალიბს და მის შთამომავლებს თვლიან. ისინი მიიჩნევენ, რომ იყო 12 იმამი, მათ შორის ალი და მისი შვილები ჰასანი და ჰუსეინი. ბოლო იმამი გაუჩინარდა მე-9 საუკუნეში. ის განკითხვის დღეს დაბრუნდება ალაჰის სურვილით და მაჰდის სახით, რათა იხსნას კაცობრიობა და აღადგინოს სამართლიანობა. სუნიტთა მიხედვით ყურანის ინტერპრეტაციის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნოვატორობას, ვინაიდან ყურანში ყველაფერია ნათქვამი. შიიტები კი მიიჩნევენ, რომ ნოვატორობა, განსაკუთრებით სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში, შესაძლებელია. სწორედ ამის საფუძველზე გაჩნდა ცნება „ისლამის რევოლუცია", „ისლამური რესპუბლიკა". რელიგიის მიერ სახელმწიფოს მართვის თეორიის იდეოლოგად სულ ახლახან გარდაცვლილი აიათოლა ჰოსეინ ალი მონთაზერი იყო. აიათოლა ჰომეინის დავალებით მონთაზერიმ ჩამოაყალიბა თეორია ვილაიათ ფაქიხი — სამართალმცოდნე ავტორიტეტი, რომლითაც აღჭურვილია ამჟამინდელი რაჰბარი ჰამენეი. მონათაზერის თეორიით ისლამის ფაქიხს, როგორც კანონების (შარიათის) მცოდნეს უფლება აქვს გააკონტროლოს პარლამენტის მოქმედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შარიათის სწორი გაგება. ამგვარად რელიგიის როლი პოლიტიკაში საგრძნობია.**

ცხადია, აიათოლებს შორის არიან ამ კურსის განუხრელი მიმდევარნიც და ლიბერალურად მოაზროვნენიც. ერთ-ერთ მტკიცე მიმდევრად აიათოლა მოჰამედ ტაკი მესბაჰ იაზდი მოიაზრება, პრეზიდენტ აჰმადინეჟადის მრჩეველი რელიგიის საკითხებში. ლიბერალთა რიგებში გამოირჩევიან ჰაშემი რაფსანჯანი და მოჰამედ ჰათამი. მიუხედავად აზრთა სხვაობისა, ორივე ბანაკი მხარს უჭერს ისლამური სახელმწიფოს იდეას. დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ გასული წლის ანტისახელისუფლებო გამოსვლები სულაც არ გულისხმობდა აიათოლების ან ისლამური მმართველობის გაუქმებას და მის ნაცვლად დასავლეთში არსებული სახელმწიფო სისტემის შემოღებას. სცდებიან ისინიც, ვისაც ჰგონია, რომ პრეზიდენტ აჰმადინეჟადის შეცვლით, შეიცვლება ირანის ამბიციები ბირთვულ კვლევებთან დაკავშირებით. ბირთვული ენერგიის საკითხი არათუ პოლიტიკოსების, არამედ რიგითი ირანელისათვისაც უდიდესი პრესტიჟის საკითხია, ისეთი როგორსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, კოსმონავტების კოსმოსში გაშვებასთან დაკავშირებით. არც ის არის გასაკვირი, რომ საკუთარ სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობაზე, მანქანათმშენებლობაზე, მსუბუქ, საფეიქრო და კვების მრეწველობაზე მყარად მდგარ 70-მილიონიან ირანს გასჩენოდა ბირთული ამბიციები. დასავლეთში ხშირად გაისმის მოსაზრება — ირანს არ სჭირდება ბირთვული ენერგეტიკა, ვინაიდან ჭარბი რაოდენობის გაზი და ნავთობი აქვს. ირანს მართლაც აქვს ნავთობი და გაზი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ყიდულობს თურქმენეთისა და აზერბაიჯანის გაზს. ამ ლოგიკით არც რუსეთმა უნდა იყიდოს ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგეტიკული რესურსები.

ბირთვული ელექტროსადგური, რომელიც რუსეთის დახმარებით შენდება, ირანისათვის საჭირო, ახალი, ელექტროენერგიის წყარო იქნება. არც ის არის გასაკვირი, რომ საკუთარი ბირთვული ელექტროსადგურის მქონე ირანს სურვილი ჰქონდეს თვითონ გაამდიდროს ურანი. სხვაზე მუდმივ დამოკიდებულებაში ყოფნა არცთუ სახარბიელო საქმეა. გასული შემოდგომით ბირთვული ენერგიის კონტროლი საერთაშორისო სააგენტოსა და ირანის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ირანის ურანის რუსეთსა და საფრანგეთში გამდიდრება, თუმცა დასავლეთისა და სააგენტოს მხრივ ირანის დადანაშაულებამ ირანს უარი ათქმევინა ამ წინადადებაზე. ირანის გადაწყვეტილებამ ნავთი დაასხა ისედაც აგიზგიზებულ ვითარებას. სულ ახლახან კონგრესის წინაშე პირველი წლიური ანგარიშით გამოსვლის დროს ობამამ განაცხადა, რომ თუ ირანი დროულად გონს არ მოეგება, ახალი ეკონომიკური სანქციები არ ასცდება. ძნელია იმის ვარაუდი, თუ რამდენად იმოქმედა ირანზე ობამას განცხადებამ, გუშინ აჰმადინეჟადმა განაცხადა, რომ მზადაა გაიზიაროს გაეროს წინადადება — რუსეთსა და საფრანგეთში საკუთარი გამდიდრებული ურანის ზეგამდიდრებისათვის გასაგზავნად. ირანის ბირთვულ პერსპექტივას სხვადასხვაგვარად აღიქვამს ე. წ. ექვსეული, რომელიც მასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მაგ. აშშ-ს ირანი მტრული სახელმწიფოა. ის 30 წელია ნერვებს უშლის მას. ეწინააღმდეგება ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობას, დიდ შაითანს უწოდებს მას და იმუქრება მის ახლო აღმოსავლელი მოკავშირე ისრაელის განადგურებით, ეხმარება სხვადასხვა მუსლიმანურ ძალებს ამერიკელთა წინააღმდეგ.

**ირანის აიათოლური მმართველობა ყელში ჰქონდა ამოსული ბუშის ადმინისტრაციას. მას ერთი სული ჰქონდა დაეკრა ირანისათვის, მაგრამ ერაყ-ავღანეთის შემყურეს გაუჭირდებოდა მესამე ფრონტის გახსნა. განსხვავებული აზრი აქვს ობამას. ის მზად არის ყოველგვარი პირობის გარეშე დაიწყოს თეირანთან მოლაპარაკება. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ამერიკულის მსგავსია, რაც შეეხება გერმანია-საფრანგეთს — არც მათ ეხატებათ გულზე აჰმადინეჟადი, მაგრამ ეწინააღმდეგებიან ირანის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. ისინი ეკონომიკურად თანამშრომლობენ ირანთან. სხვა ურთიერთობებია მოსკოვ-თეირანს შორის. ჩინეთთან ერთად გაეროს უშიშროების საბჭოზე ის ეწინააღმდეგება აშშ-ს ირანის საწინააღმდეგო სანქციების შემოღებაში. თუმცა მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობის გაუმჯობესების შემდეგ მოსკოვი მზად არის მხარი დაუჭიროს ამერიკას, რაც ნეგატიურად აღიქმება ირანის მიერ. ჩინეთისათვის ირანი ენერგეტიკული პარტნიორია, პეკინი კი არასდროს ღალატობს პარტნიორებს. ჩინური წარმატების საფუძველში ირანის ენერგო რესურსებიცაა. წარმატება კი თვალსაჩინოა — უახლესი მონაცემებით მსოფლოში ექსპორტის თვალსაზრისით გერმანიისათვის გასწრება და ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოების მაჩვენებლით — 10,6 პროცენტი — მსოფლიოს მეორე ეკონომიკად გადაქცევა.**

**თვით ირანის ხელისუფალთა დამოკიდებულება ბირთვულ იარაღთან ნეგატიურია, რის შესახებ არაერთხელ განაცხადა ირანის ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ, მაგრამ დასავლეთს არ სჯერა ამის.** დასავლელთა აზრით, ირანი მიზანმიმართულად მიიწევს ბირთვული იარაღისკენ. კაცმა რომ თქვას, თუ მალულად ისრაელს აქვს ბირთვული იარაღი, რატომ არ უნდა ჰქონდეს ირანს? ისრაელის ბირთვული იარაღი დასავლეთს არ აწუხებს. არც ის აწუხებს, რომ ისრაელი უარს ამბობს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელის მოწერაზე. ირანმა კარგა ხანია ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. **ფათერაკებით აღსავსე სამყაროში, სადაც უხვადაა ეროვნული საზღვრების გადაწევ-გადმოწევის ძალისმიერი მაგალითები, სადაც ბირთვული სახელმწიფოები სხვათა დასაშინებლად სისტემატურად ატრიალებენ ბირთვულ კვერთხს, გასაკვირი არ უნდა იყოს ირანის ბირთვული ამბიციები. ბირთვული ბომბი ეროვნული უსაფრთხოების გარანტიაა. ერთი ამერიკელი პოლიტოლოგის მიხედვით, ამერიკამ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის ბელგრადი დაბომბა და არა პეკინი. ბელგრადს ბირთვული იარაღი არ ჰქონდა. ბომბის მქონე ირანის პოზიცია ერთი-ორად გამყარდება. სხვათა შორის, ახლო აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროში ბევრი ოცნებობს საკუთარ ბირთვულ ბომბზე. ბირთვულმა იარაღმა მომნუსხველი ხიბლი შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის, რა შეიძლება მოჰყვეს მის გამოყენებას, ყველას სურს ოჯახში ერთი ბომბის ქონა. როგორც ჩანს, მარტო აკრძალვა ან უკიდურესი ზომა — კვლევითი ობიექტების აფეთქება შედეგს ვერ მოიტანს. ისრაელის პრეზიდენტის ნათქვამისა არ იყოს — მეცნიერთა გონების, ჭკუის აფეთქება, შეუძლებელია. სხვა ღონისძიებებია გასატარებელი, თუმცა ეს „სხვა" არ ჩანს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ვარაუდი

# „ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, საქართველო-უკრაინის ურთიერთობები გაიყინება ან შეფერხდება"



(მესამე გვერდიდან)

**— როგორ ფიქრობთ, დარჩება თუ არა ახალი პრეზიდენტის პირობებში ნატოში გაწევრება ქვეყნის პრიორიტეტად?**

— ნატოში გაწევრების საკითხი, პრინციპში, დღის წესრიგში არ დგას: საკუთარ საარჩევნო პროგრამაში არც იუშჩენკოს, არც ტიმოშენკოს და არც იანუკოვიჩს ეს თემა არ წამოუწევიათ; ამასთან, თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებზე ვისაუბრებთ, ამ ეტაპზე უმრავლესობა ნატოში გაწევრების წინააღმდეგია. ეს სწორედ ის ხალხია, რომელიც მხარს იანუკოვიჩს უჭერს. რამდენადაც იუშჩენკომ თავი არაეფექტურ პოლიტიკოსად და სახელმწიფო მენეჯერად გამოავლინა, მის იდეებს, მათ შორის ნატოში გაწევრებას ეჭვის თვალით უყურებენ. ვფიქრობ, გაივლის დრო და ადამიანები გაცილებით უკეთ გააცნობიერებენ, რომ ნატო არა უბრალოდ პოლიტიკური სტრუქტურაა, რომელსაც ფული უნდა უხადო, არამედ უსაფრთხოების ქოლგა, საღლეისოდ კი ადამიანებმა ამ ყველაფრის შესახებ სამწუხაროდ, ძალიან ცოტა იციან და შესაბამისად, ადვილად ტყუვდებიან საბჭოური თუ რუსული პროპაგანდით. საღლეისოდ უკრაინელებისთვის სულერთია, იქნება თუ არა ქვეყანა ნატოში, მათ სურთ, იცხოვრონ ისე, როგორც ევროპელებმა, ხოლო ის, რომ მთელი ევროპა დღეს ნატოა, არ აინტერესებთ და არც სურთ, გააცნობიერონ. ამ შემთხვევაში იანუკოვიჩი, რომელიც აცხადებს, რომ ამ თემას არ წამოწევს, მას მხოლოდ მაშინ გაიხსენებს, როცა ეს მისთვის და მისი პოლიტიკისთვის იქნება მომგებიანი. კუჩმას პრეზიდენტობის პერიოდში პრემიერ-მინისტრობის დროს მან ნატოში გაწევრების აუცილებლობის შესახებ დოკუმენტს მოაწერა ხელი. ტიმოშენკომაც პრემიერ-მინისტრობის დროს ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმად, ნატო უკრაინის არჩევანია. შემდეგ საკუთარი პოლიტიკური ჩანაფიქრების გამო ისინი ამ პროცესიდან გავიდნენ. იანუკოვიჩმა აღნიშნულ საკითხზე პოზიცია 180 გრადუსით შეიცვალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის ასე ისაუბრებს. თუ ის პრეზიდენტი გახდება, მაშინ ამ სიტუაციას უფრო აწონ-დაწონის, რადგან ნატოსთან დაახლოებას ალტერნატივა არ აქვს. ამასთან, უკრაინას არ უნდა ჰქონდეს გათვლა, რომ მას ალიანსში მალე მიიღებენ. ამიტომ მთავარია, ქვეყნის შიგნით გააკეთო ყველაფერი იმისთვის, რომ ნატოს დაუახლოვდე, გაატარო რეფორმები და ნატოს სტანდარტებით მოახდინო არმიის მოდერნიზება.

**— ამ მხრივ ხშირად ივლება პარალელები საქართველოსთან. ჩვენს ქვეყნებს ერთი დიდი პროექტის ნაწილებად განიხილავენ რევოლუციების კონტექსტშიც. თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელმა რევოლუციამ უფრო გაამართლა — „ვარდების"" თუ „ნარინჯისფერმა"?**

— არც ერთი რევოლუცია არ ამართლებს ყველა მოლოდინს. იმ დროს, როცა ეს ხდებოდა მაიდანზე ან რუსთაველზე, ყველას საკუთარი მიზანი ჰქონდა: ვიღაცას სურდა, გაცილებით უფრო მდიდრულად ეცხოვრა, ვიღაცას — უფრო თავისუფლად, ვიღაცას — უბრალოდ მოეცილებინა მობეზრებული პოლიტიკოსი, ვიღაცას — სამსახური ეშოვა... ახლა, როცა რევოლუცია დასრულდა, ეს ხალხი მაინც აგრძელებს მოთხოვნების დაყენებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას მოლოდინი არ გამართლდა. თუმცა ყოველივე ეს დემოკრატიის ნაწილია. ვფიქრობ, რომ „ნარინჯისფერმა რევოლუციამ" ძალიან დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ცხოვრებაში და უფლება აღარ მისცა კუჩმას იმჟამინდელ კორუმპირებულ რეჟიმს, ფალსიფიკაციის ხარჯზე არსებობა გაეგრძელებინა. იუშჩენკოს, რომელსაც კუჩმა უნდა შეეცვალა და არა მხოლოდ პიროვნულ დონეზე, არამედ მთელი სახელმწიფო სისტემით, ეს სამწუხაროდ, არ გამოუვიდა. ამ მხრივ „ვარდების რევოლუცია" გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა. თუ უკრაინის სიტუაციას იმ შედეგებს შევადარებთ, რომელსაც რევოლუციის შემდეგ საქართველომ მიაღწია — ქართული ეკონომიკის მაჩვენებლებს, გატარებულ და მიმდინარე რეფორმებს, ნათელია, რომ საქართველოში ამ კონტექსტში უკეთესობაა. რა თქმა უნდა, უკრაინაში არ ყოფილა ისეთი მოვლენები, როგორიცაა ომი, ტერიტორიების დაკარგვა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილი გაცილებით წარმატებული პრეზიდენტია, ვიდრე იუშჩენკო. ჩემი ნაცნობები, რომლებმაც ხმა იუშჩენკოს მისცეს, იმედგაცრუებულები არიან და არა საკუთრივ რევოლუციით, არამედ იმით, რომ იუშჩენკო არაეფექტური მენეჯერი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, მან საკუთარი 5-წლიანი პრეზიდენტობა საზოგადოების მხრიდან დაბალი შეფასებით დაასრულა. რაც შეეხება სააკაშვილს, ფაქტია, რომ ის მეორე ვადით აირჩიეს. უკრაინაში ძალიან დიდი ინტერესით აკვირდებიან საქართველოს და მის წარმატებებს, რადგან ეს უკრაინის დემოკრატიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი სტიმულია, არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით უკრაინას ორიენტაცია არ აქვს და „ვარდების რევოლუციის" მიღწევებისგან შორს არის.

**ლევან ჭითანავა.**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

მოწიწება

***განსაკუთრებულ, პროვიდენციულ გონსა და სულითმეტყველ განსჯას თუ შესწევს ძალა და უფლება, აღიქვას და სხვებსაც განაცდევინოს თანამედროვე საქართველოს ჭეშმარიტი პროტაგონისტის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ფენომენი...***

***თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყოველი ცდა, მაინც უკმარისობის შეგრძნებას თუ აღძრავს, რადგან, თითქმის შეუძლებელია ონტოლოგიური წვდომა ამ რანგის საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის საკრალური ინდივიდუალობისა...***

***ეს მოკრძალებული ე. წ. ესეიც, ოდენ მხოლოდ მკრთალი სილუეტია ქართველი ერის კიდევ ერთი მარადიული სულიერი თანამგზავრისა...***

# ღვაწლი – კეთილად შობილი და აყვავებული

ცნობილია, რომ ქრისტიანობამ, როგორც უნივერსალურ ჭეშმარიტებათა სათავემ და არსმა, უმძლავრესი იმპულსი მისცა ადამიანის ჰუმანიზაციას, მის იდენტობასა და თავისუფლებას... ამ ფუნდამენტური მორალური და ეთიკური ღირებულებებითაც გაცხადდა მისი პრაქტიკულ-ეგზისტენციური და გონებაჭვრეტითი (მეტაფიზიკური) არსი და ბუნება...

ამ პლანეტარულ სიქველეთა, ღვთისა და ღვთისმეტყველთა სიტყვისა და საქმის საქადაგებლად, მათ განმავრცელებლად დაადგინა უფალმა უწმინდესი და უნეტარესი...

უმძიმესია ტვირთი მისი, მით უმეტეს დღეს, დესტრუქციული ჟინით შეპყრობილ, დეზორიენტირებულ და ლამის სრული შემოქმედებითი სიბერწისაკენ მიდრეკილ საქართველოში...

უსაზღვროა ღვაწლი მისგან დაძრული, კეთილად შობილი და აყვავებული... განსაცვიფრებლად უნივერსალური, იგი იმ ნეტარხსენებულ სულიერ მოძღვართ გვაგონებს, რომელნიც თავისი ჭეშმარიტად რენესანსული შემოქმედებითი პოტენციით სულიერად განამდიდრებდნენ და უკეთესი მომავლისკენ მიუძღვნიდნენ მიწიერ ოცნებათა „ნაჭუჭში" დატყვევებულ ერს...

მის ფიქრთა, ოცნებათა და სურვილთა მასშტაბები ღმერთისა და ერის საკრალური სიყვარულიდან იშვა, და ვითარცა სულთა განმაცოცხლებელი ძალა, სასომიხდილ ქვეყანას ნუგეშად მოევლინა...

მან, ნეტარი გრიგოლ ხანძთელის სულიერმა მემკვიდრემ, უძველეს მართლმორწმუნე ერს ქრისტესმიერი სიყვარულისა თუ სხვა სათნოებათა გადავიწყებული რწმენა შეახსენა და თავისი ზემიწიერი როლის სიმბოლურ გამოხატულებად, მორალურ-ეთიკური რეგულაციებით აღბეჭდილი საკუთარი სულის ნაღვაწთა უფართოესი სპექტრი შესთავაზა...

იგი, უპირველეს ყოვლისა, უნივერსალური მასშტაბის მოაზროვნეა... მან განავრცო და კიდევ უფრო მეტი სინათლით აღბეჭდა ქრისტიანული მსოფლჭვრეტისა და მსოფლშეგრძნების მეტაფიზიკური რეფლექსიები... მისი თეოლოგიური ინტენციები იმ მეგაპრობლემებითაა გაჯერებული, რომელთა აქტუალობა მხოლოდ მისივე ინტელექტის აქტივობით ხდება საცნაურიცა და თვალსაჩინოც...

**მისი ლოცვები თუ ქადაგებები, ჰომილიები თუ ეპისტოლეები, ადამიანთა სულების აღზრდის, სიყვარულისა თუ ერთგულების, მორალისა თუ სიმართლის და კიდევ მრავალ სხვა ჰუმანიტარულ კომპონენტთა ჭეშმარიტი ანალიტიკაა... გზაა საკუთარი თავისაკენ, ინდივიდუალური ცნობიერების მორალური კატეგორიებისაკენ... ეს ის გზაა, რომლის გარეშე ქაოტურია სამყაროცა და ამ უწესრიგობაში ჩაკარგული ადამიანიც...**

მან ჭეშმარიტად იწინასწარმეტყველა და თავისში შვა თავისუფალი საქართველოს წიაღიდან აღორძინების სულის ყოფიერება... აბსოლუტისა და უნივერსალურისაკენ მიმავალი ადამიანის სიცოცხლე.

ამ მოღვაწე სიცოცხლეში ერთიანდებიან და მძლავრ „კონტრაპუნქტს" ქმნიან – რაციოცა და ინტუიციაც, პროპედევტიკაცა და მეტაფიზიკური კოსმიზმიც, მედიტაციაცა და პრაგმატიკაც, ლირიკაცა და ეპიკაც...

თუ არა იგი, ძალზე გაუჭირდებოდა გარდასულ კომუნისტური რეჟიმისგან სასტიკად ნაგვემსა და დამცრობილ ქართულ ეკლესიას...

ჩვენი ერის ისტორიის დღევანდელი, „ახალი ადამიანის" კულტივაციითა და მისი ბიოლოგიური ბუნების გარდაქმნის „ექსპერიმენტებით" აღბეჭდილი პერიოდი თუ საბედისწეროდ არ ექცა ჩვენს რწმენასა თუ სახელმწიფოებრიობას, უპირველეს ყოვლისა, უწმინდესის დამსახურებას უნდა უმადლოდეს ერი...

ღრმად შთამაგონებელი ბიბლიური იერსახე მისი, იმ დაუნჯებული შინაგანი მწუხარების ანარეკლია, მძიმე დრო-ჟამმა რომ აღბეჭდა მასზე... და მაინც, ეს ის ნეტარი ყოფიერებაა, ყოველი დროის წმინდანნი რომ „ეთაყვანებოდნენ"...



არაფერია უფლისაკენ მიმავალ ამგვარ ყოფიერებაზე აღმატებული და სულის წარმტაცი... მხოლოდ ამგვარი ტანჯვით ნეტართათვის „იმეტებს" უფალი ნათელმხილველის ნიჭს... საკრალურ ღირებულებებთან „თანაცხოვრებისა" და სამყაროს ღვთაებრივ ჰარმონიასთან შერწყმის ბედნიერებას...

აღარ დავკონკრეტდები და დეტალურად აღარ ვიაზრებ უწმინდესის ღვაწლს... ერთ ადამიანში კონცენტრირებული საარაკო საქმიანობათა მთლიან სპექტრს...

ეს ყოველივე შესანიშნავად იცის (უნდა იცოდეს!) სულიერებას მიყურადებულმა ყოველმა ქართველმა... არც კეთილმოსურნე უცხოელთათვის არის იგი დაფარული...

მისგან გვაქვს ნასწავლი, რომ გზა საკუთარი თავის შეცნობისა – ღვთაებრივი სიმართლის გზაა, და რომ ყველაზე მიუტევებელი ცოდვა, საკუთარივე თავის მოტყუებაა... და, რომ შინაგანი რეალობა ადამიანისა, მხოლოდ ჭეშმარიტებასთან უნდა იყოს წილნაყარი...

იგია დღეს სათავე და ხატი ჭეშმარიტი ერისკაცობისა, ქვეყნის გადარჩენისათვის ღვწისა, მრავალი სათნოებისა და მადლისა...

ჩვენი უძველესი ერის ისტორიაში ძალზე ცოტანი არიან ქვეყნის ჭეშმარიტ სულიერ მამებად შერაცხულნი: გრიგოლ ხანძთელი, სულხან-საბა ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე – აი, ის ტრიადა, რომელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფონზე მოკრძალებით თუ ციმციმებენ თვით რჩეულნიც კი ჩვენი ქვეყნისა...

რაოდენ ბუნებრივად ერწყმის წმინდანთა ამ „ძუნწ" გალერეას კიდევ ერთი „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი"... მოღვაწე, რომელმაც საბედისწერო ჟამს აღორძინების იმედით აღბეჭდა რწმენამიმქრალი და ამაო ნეტარების „ძილქუშში" გარინდული ერი... რომელმაც დასაბამი მისცა ეროვნული სულის პოზიტიურ მეტამორფოზებს, საზოგადოებრივი აზროვნების ახალ პარადიგმებს... საეკლესიო ინსტიტუციების გამრავლებას, გაძლიერებასა და წარმატებულ ფუნქციონირებას.

გადამწყვეტია უწმინდესისა და უნეტარესის როლი და ადგილი საქართველოს უახლესი ისტორიის „ქმნის" თვალსაზრისით...

ობიექტურად მართლაც რომ გადამწყვეტი, თუმცა მავან „ტრანსჰუმანისტთა" ამობოქრებული კასტისათვის, ულტრადემოკრატებადაც რომ მოაქვთ თავი, ბუნდოვანი და სრულიადაც უცნობია პატრიარქის უმაღლესი რენომეს განმაპირობებელი არგუმენტაციები...

ვფიქრობ, არც თუ საგულისხმოა ჩვენი ანტინომიური სოციუმის წიაღში ავადმოფუთფუთეთა „დემოკრატიული კონვულსიები", ამჯერად დედაეკლესიისა და პატრიარქისადმი უზადრუკი ინსინუაციებით რომ ავლენენ თავს... მათი ათეისტური ეგზისტენციალიზმით (მოდერნიზებული მარქსიზმით) გაჯერებული ისტერიკა, ბუნებრივია, ბევრს არაფერს ნიშნავს, თუმც ერთი ფრიად სამწუხაროდ სიმპტომით არის საყურადღებო, კერძოდ, ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების სრული უმწიფრობისა და უნიათობის აშკარა გამოვლენის კიდევ ერთი ფაქტით...

ქრისტიანული რწმენისა და სიწმინდეებისადმი საბედისწერო გულგრილობამ, ანუ გონებისა და ანტიგონების ჩვენში მიმდინარე ფუჭმა ჭიდილმა, დააკნინა და სრულ არარაობად აქცია ქართული ცნობიერების თვით ცნებაც კი... ეროვნული იდეალების კრიზისი ამგვარი სიმძაფრით, იშვიათად თუ განუცდია ჩვენს ქვეყანას...

სნეულებასავით გადმოგვედო და დაგვიმონა რა ჩვენში კარგად გაპიარებული ცივილიზაციის მეგასლოგანმა – „არაფერი გარდა მიწიერისა", საოცარი ტემპითა და სისასტიკით დაამკვიდრა – უტილიტარიზმისა და ფულის ძლევამოსილების ყოვლის წამლეკავი იდეა... მატერიის თავსმოხვეულმა აჩქარებულმა ცირკულაციამ და საგანგაშო მანქანურმა რიტმმა, არაადამიანური ხასიათი შესძინა ადამიანურ მოღვაწეობას... სამწუხაროა თვით მიზანი ამ საყოველთაო ფერისცვალებისა – ტრადიციულ ღირებულებათა მიმართ ნიღილიზმი და თუ შესაძლოა, მათი სრული იგნორირება... დავიწყება უმაღლეს ჭეშმარიტებათა სათავისა და არსისა – ღმერთის სახით...

ფატალური „რეფორმაციებით" გულუბრყვილო აღტყინება, ეროვნული მენტალობიდან თავდაღწევისა და სხვადგარდასახვის ჟინი, ანუ გაუკუღმართებული მუტაციის სავალალო პროცესი უკვე „წარმატებით" ხორციელდება და ძნელი სათქმელია, რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება მისი „ძლევამოსილი" ინერციის შეჩერება...

ამ აგრესიული გამოწვევების საპასუხოდ, დღეს კიდევ უფრო მეტ მრწყინვალებას, აზრსა და მნიშვნელობას უნდა იძენდეს ერში უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესია – ვითარცა ეროვნული სულიერების უმაღლესი ინსტანცია და უფალთან წარმდგენი მედიუმი... ვითარცა სათნოებათა ცივილიზაციის ფუძე და საძირკველი...

**კიდევ უფრო მეტად უნდა ეუფლებოდეს ჩვენს სულებს უწმინდესისა და უნეტარესის საკრალური არსებიდან ამოთქმული ლოცვები თუ შეგონებანი, ნათელხილვები თუ უფლისა და წმინდანთა აპოლოგიები...**

რაოდენ საგულისხმოა მის ღვთისმსახურებათა თვით „სტილისტიკა", სიტყვათა პლასტიკა, სისადავე და გამჭვირვალება...

მაქსიმალური სიცხადითაა გამოვლენილი მათში ადამიანის სულიერი აღზრდის ქრისტიანული „მეთოდოლოგია"... სიტყვის მაგიური ძალისხმევა განყენებულ თეოლოგიურ კონცეპტებსაც კი გასაგებსა და ადვილადშემეცნებადს ხდის...

ისიც აღსანიშნავია, რომ ემპირიკა, ანუ ე. წ. ცხოვრებისეული მაგალითები, უფრო მეტად ათვალსაჩინოებენ ორატორის მედიტაციათა სიღრმეს, მისი უფაქიზესი სულის ფარულ „მელოდიებს"...

შინაგანი შთაგონებაა ამ ქადაგებათა ლოგიკის ლაიტმოტივი... იგია სწრაფვა გაგხადოს მაღალი ზნეობრივი კატეგორიებით, თავისუფლებითა და სიყვარულით ცხოვრების ღირსი, რათა მოგეცეს გზა ჭეშმარიტი ყოფიერებისა... და კიდევ:

უწმინდესის „სიტყვის" მაღალი სისადავე არ არის „ბრბოსთან" დიალოგის შერჩეული ფორმა...

იგი თვითოეული ინდივიდის პროტაგონისტამდე ამაღლების გზა-ბილიკია და ამითაც განირჩევა „სქოლასტთა" რიგორიზმისაგან, მკაცრად ფორმალიზებულ ეთიკისაგან...

იყოს ერის „სიტყვით ხსნის" ღვთაებრივ მისტერიათა უზენაესი აღმსრულებელი და ამ საკრალური ფორმით შეამეცნებინოს მას სამყაროცა და საკუთარი თავიც, რათა დაიმკვიდროს საყოველთაო ნეტარი სიმშვიდე, უფლის „სიტყვის" მყოფობისათვის აუცილებელი ეს ერთადერთი საიმედო ნავსაყუდარი... აი, უწმინდესის დღენიადაგ ღვწის ხვედრიც და მიზანიც...

მისი მიწიერი ყოფიერების მზიანი თუ ვარსკვლავებიანი ღამიდან, უიღბლო სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით დაღლილი, ღრმა სინანულით აღბეჭდილი წმინდანი „იხატება"...

იხატება სულიერი პორტრეტი ღვთაებრივი სათნოებით გაცისკროვნებული დიდი საეკლესიო რეფორმატორისა და სასიქადულო მამულიშვილისა...

**მხოლოდ სიყვარულით მოიპოვებაო თავისუფლება და სიყვარულითვე ამაღლდებითო თავისუფლებაში – აი, მისი ერისადმი მიმართულ „ვედრებათა" ერთი შთამაგონებელი ფრაგმენტი... ქვეყნის ჭეშმარიტი ერთიანობისა და ყოფიერების მაუწყებელი სიბრძნე და მომავლის ვექტორი...**

მოწიწებით ვხრი თავს მისი ღვთაებრივი სიწმინდისა და ღვაწლის წინაშე...

ვარ ბედნიერი, რომ წილად მხვდა პატივი, საჯაროდ გამოვხატო ჩემი ადამიანური სიყვარული და აღფრთოვანება ღვთის რჩეულის და ერის სულიერი მამის მიმართ...

შევთხოვ უფალს, მისი დაუშრეტელი ძალისხმევით შთაგონებულ მომავალს მოეტანოს ნეტარი ჟამი კეთილად შენებისა და აღმასვლისა, ჟამი სულიერი განახლებისა და პიროვნების რწმენით აღორძინებისა, ჟამი ქვეყნის გაერთიანებისა და საყოველთაო ღირსეული სიმშვიდისა...

ჟამი კარიკატურული საქართველოს ჭეშმარიტ საქართველოდ გარდასახვისა...

იმის თქმის უფლებისა, რომ: **„ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა"...**

**გურამ ბენაშვილი**

აქცია

# 1991-1992 წლების მოვლენების შეფასებას მოითხოვენ

**1992 წლის 2 თებერვალს, თბილისში, ვაგზლის მოედანზე კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი შეიარაღებული გადატრიალების მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ. მშვიდობიანი მანიფესტაცია ვაგზლის მოედნიდან თავისუფლების მოედნისაკენ მიემართებოდა, როცა ცირკისა და აკადემქალაქის მიმდებარე ფერდობებიდან ხუნტის ბოევიკებმა ხალხს სროლა დაუწყეს. ათი ადამიანი დაიღუპა, ასამდე დაიჭრა, მსვლელობა სასტიკად დაარბიეს, გაქცეულებს სამხედრო ტექნიკით მისდევდნენ...**

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ყოველ 2 თებერვალს, უკვე თვრამეტი წელიწადია, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნული მოძრაობის ორგანიზებით აქცია იმართება.

ამჯერადაც ასე მოხდა. აქციაზე ეროვნული მოძრაობის გარდა, სხვადასხვა ორგანიზაციისა და პოლიტიკური პარტიის ლიდერებიც მივიდნენ.

აქციაში მონაწილეობდა მამუკა ტერიშვილის დედა, ლეილა ტერიშვილი. 17 წლის მამუკა მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილე იყო. იგი თავისუფლების მოედნისკენ მიმავალ ხალხს წინ მიუძღოდა და სწორედ მას მოხვდა სნაიპერის ნასროლი პირველი ტყვია, რომელმაც მისი სიცოცხლე იმსხვერპლა.



**— უკვე თვრამეტი წელიწადია „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლები 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას ვითხოვთ, — განაცხადა „ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეთერ მგალობლიშვილმა — აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 26 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ეროვნულ დეკლარაციას, რომელიც გულისხმობდა 1991-92 წლების მოვლენების შეფასებას. დეკლარაციის მიღების შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. პასუხი არ უგიათ კიტოვანს, სიგუას, იოსელიანსა და შევარდნაძეს, რომლებიც მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის უშუალო ორგანიზატორები იყვნენ“...**

ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან საპროტესტო მსვლელობამ პარლამენტის შენობისკენ გადაინაცვლა. შეკრებილი საზოგადოება ორი თებერვლის ტრაგედიის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების გარდა ცოტნე გამსახურდიას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდა. თუმცა აქციის მონაწილეების განცხადებებს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ გამოხმაურებია.

**სოფიო ციგრიაშვილი,**
მურად ალაშვილის ფოტო.

ინფორმაცია

## ბაღაფში თავის მილიციელებს ტერაქტებისგან იცავს

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა გასცა განკარგულება იმის შესახებ, რომ აფხაზი ე.წ. მილიციელები ამიერიდან შემთხვევის ადგილებზე მხოლოდ სამხედრო ტექნიკისა და სამხედროების თანხლებით გადაადგილდნენ.**

**— ჩვენ შევიძინეთ სპეციალური მანქანები იმისათვის, რომ ამიერიდან ჩვენი ბიჭების სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავაგდოთ, ისინი ხომ ისედაც ძალიან ბევრნი დაიღუპნენ ტერაქტების გამო, — განაცხადა ბაღაფშმა სოხუმში გალის რაიონში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებულ საგანგებო თათბირზე.**

**მან ასევე აღნიშნა, რომ გალის რაიონში ყოველთვის ხდება „სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული ტერაქტები და ამის შესახებ ყველას ყოველთვის უნდა ახსოვდეს“.**

ჯი-ეიჩ-ენი

მწერლის სიკვდილი

# ანტიგმირისა და „ლიბერტის“ ჯითერბარგი

***ვერასოდეს წარმოვიდგენდი, იმ ქალაქში თუ ვიცხოვრებდი, რომელსაც თავისუფლების ქანდაკება „ეკუთვნის“; რომელშიც სელინჯერი დაიბადა, სადაც იგი ბოჰემური უბნის „გრინვიჩ ვილიჯის“ ბარებში თავში ძენ-ბუდიზმით, გულში — „საველე ჰოსპიტლით“, ხელში კი ნახევრადცარიელი ჭიქით ალამებდა და ათენებდა. მაშინ, როცა „ჭვავის ყანა“ წავიკითხე, ქართლის დედა და „თავისუფლების ქალი“ ერთმანეთს ძალიან, ძალიან შორიდან გაჰყურებდნენ. თუმცა ისინი დღესაც არ არიან ახლო სამეზობლო „ალტერ ეგოები“ ორ ქვეყანას შორის სუპერჩქაროსნული ავტობანიც რომ გაიდოს. მაშინ რატომღაც მეგონა, რომ ჯულიეტა მაზინა, ოღონდ ფელინის ცოლობის პერიოდის კი არა, 17 წლის ჰოლდენ კოლფილდის ასაკისაა, ამ როლს სწორედ სელინჯერისეულად შეასრულებდა. ნინო როტა კი მუსიკას დაწერდა. არა იმიტომ, რომ ჯულიეტა „ბიჭს“ ჰგავდა. უბრალოდ: უშველებელი, მრგვალი, მიუსაფარი შავი თვალები, უკან მოკლედ შეჭრილი, შუბლზე დაყრილი „ზღარბი“ თმები, „დაკარგული ძაღლის“ გამოხედვა, აპოკალიფსური მარტოსულობა და გაუცხოება: „ამარკორდები“ ჭვავში და ჭვავი „ამარკორდებში“... ამბობენ, ჰოლდენი 1960-იანების სახელიანი ანტიგმირი ბენჯამინ ბრადოკის („კურსდამთავრებული“, 1967წ.) წინაპარი იყოო. თინეიჯერი დასტინ ჰოფმანი ჭვავის ყანაში მოდარაჯე ანტიგმირის როლში რაღაც არ წარმომედგინა. ჰოფმანს ნამეტანი საშუალოკლასელის პათეტიკური სახე აქვს და თანაც თავისი გრძელი ცხვირით გაუთავებლად აქსუტუნებს...***

პირველი იანვარი სელინჯერის დაბადების დღე იყო. სულ მეგონა, რომ სწორედ თავის დაბადების დღეს მოკვდებოდა. ანუ როცა დაიწყო, „იქვე“ დამთავრდებოდა. მაგრამ თითქმის მთელი იანვრით გადააცილა...

სელინჯერები ნიუ-იორკში პარკ ავენიუზე ცხოვრობდნენ, მამა ყველსა და ხორცს ჰყიდდა. თურმე ეს ბიზნესი კარგადაც გამოსდიოდა. 15 წლის ასაკში ჯერომი სასწავლებლად სამხედრო აკადემიაში გააგზავნეს. იფიქრეს, ალბათ, იქნებ უფრო დისციპლინირებული გახდესო. მანამდე კი, თავისი ინდიფერენტობის გამო, სკოლიდან სკოლაში მოგზაურობდა, გულს ვერაფერს უდებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მეორე ფრონტის გახსნისას ნორმანდიის ნაპირებსაც მიადგა, ჯარში პატიოსნად იმსახურა, ჰემინგუეიც გაიცნო და ომის „ჰუმანურობაც“. პირველად ჰოლდენის მსგავსი „ტიპი“ მის მოთხრობაში — „უკანასკნელი შვებულების ბოლო დღე“ (1944წ.ძ გამოჩნდა. სელინჯერი უკმაყოფილი იყო მკითხველის მიერ ამ მოთხრობის მიმართ გამოჩენილი გულგრილობის გამო, მაგრამ 1951 წელს დასტამბული რომანით „თამაში ჭვავის ყანაში“ გულნაკლული უკვე ველარ იქნებოდა. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი ამერიკა კი კიდევ ერთ ომს „ელოდებოდა“, ამჯერად „ინდონეზიის მეორე ომის“ შემადგენელს — ვიეტნამისას. მაგრამ ჰოლდენმა ეს ჯერ არ იცის. იგი ჯერ უფროს თაობასთან იდეალისტურ „ცივ ომს“ ეწევა. ეს ომი ხანდახან ტრაგიკულად ცხელდება კიდეც: ჯონ ლენონსა და რონალდ რეიგანზე თავდამსხმელთათვის... მაგრამ სელინჯერი დიდი ხნით ადრე ჩაიკეტა, ვიდრე ლენონი მოკლეს. ალბათ, სწორედ მაშინ, როცა ბავშვობაში, როგორც ამბობენ, საკუთარ სიყრუესა და სიბრმავეზე ოცნებობდა... მერე პარტიზანულად „მიიჟუჟა“, ვერავინ ხედავდა. თავად კი, რატომღაც მგონია, რომ ჭოგრიტით თუ ტელესკოპით სხვებს აკვირდებოდა, არაფერი უნდა გამორჩენოდა, განსაკუთრებით ის, რაც მისი „ჭვავის ყანის“ გარშემო ხდებოდა. პარანოიით შეპყრობილივით თავისი სახელის იმდენად არა, რამდენადაც ჰოლდენ კოლფილდის „გამოყენება“ აგიჟებდა. შეიძლება იგი უფრო მეტად ჰოლდენი იყო, ვიდრე ჯერომი. 1982 წელს სელინჯერმა ერთ ჟურნალისტს უჩივლა, რომელიც ვითომდა მისგან აღებულ, სინამდვილეში არარსებულ ინტერვიუს რომელიღაც მედიაგამოცემისთვის მიყიდვას აპირებდა. თვითმარქვიამ გადაიფიქრა და ამიტომ ჩივილი სელინჯერმაც გადაიფიქრა. იგი 1987-ში გამოუქვეყნებელი წერილების საფუძველზე დაწერილი მისი ბიოგრაფიის ავტორსაც უჩიოდა. 1998 წელს კი სელინჯერზე ასაკით ორჯერ უმცროსმა მეგობარმა ქალმა სახელად ჯოის მეინარდმა მწერალთან თავისი რვათვიანი ურთიერთობის მოგონებები გამოსცა. იგი მკითხველს სათაკილო „მტკიცებულებებს“ წარუდგენს: მწერლის დიქტატორული ხასიათის, ჭამის ცუდი ზნის, სექსუალური ცხოვრების პრობლემებისა და კიდევ სხვა „ყოფითი“ ნიუანსების შესახებ... მგონი, მისთვის ჯერომს არ უჩივლია. სელინჯერს არა ერთი სამართლებრივი და არასამართლებრივი დავა ჰქონდა მისი წიგნების გამომცემლებთან და ფილმის რეჟისორებთან. უკანასკნელი, სიკვდილისწინანდელი 2009 წელს შედგა, როცა „ჭვავის პროზაიკოსი“ შვედ გამომცემელს დაუპირისპირდა, რომელმაც თავისი „60 წლის შემდეგ: ჭვავზე მოსიარულე“ დასტამბა. დაბერებული ჰოლდენ კოლფილდი ამჯერად მოხუცებულთა სახლიდან გარბის... არ ვიცი, ბრუნდება თუ არა იგი უკან ისე, როგორც ჰოლდენი დაბრუნდა თავის სკოლაში, უფრო სწორად, მიხვდა, რომ უკან დაბრუნდებოდა. ჰოლდენი მისისიპის გასწვრივ მოგზაური ჰეკლბერი ფინი არაა, რომელიც მოძალადე მამას გაექცა. მისი ამბები XIX საუკუნის მდინარეს გაჰყვა. თუმცა XX-ში და შემდგომაც, მით უმეტეს ჰიპების დროს, „სახლიდან წასვლა“ ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ ჰოლდენი არც ჯენის ჯოპლინია და არც სხვა „ოფიციალური“ ჰიპი. სელინჯერის ჭვავის ყანის მოდარაჯეები პრეჰიპური პერიოდისა არიან, მათ თავისი ვუდსტოკი არსად ჰქონიათ.

„ჭვავი“ 48-საათიანი მოგზაურობის რომანია. მთავარი გმირი უმისამართოდ გარბის-დარბის-დაეხეტება, ადამიანებიან თავშესაფარს ეძებს — ვისაც, რასაც შეიძლება ენდოს; ვინც ან რაც მას ხან მწველი და ხანაც ქრონიკული განზილებისგან განკურნავს; ვინც ან რაც მის „მისიას“ ჩაწვდება. ბოლოს დიდი მარტოობის დედაქალაქ ნიუ-იორკშიც ამოჰყოფს თავს; იქ კი უარესი გაუცხოება სუფევს, არავის არაფრის ესმის, მხოლოდ გერი კუპერი და მისთანანი არიან ყურადღების ღირსნი და ისიც მკივანა გოგონებისთვის... ყველანაირ სიკეთესთან ერთად ჰოლდენს ხუთი დოლარის გამო იმეტებენ და გვარიანადაც მიტყეპავენ.

ჰოლდენის მსგავსად სელინჯერის ამ წიგნსაც „მისიის“ მიუღებლობა „დაემართა“. 1966-დან ვიდრე 1975-მდე „თამაში ჭვავის ყანაში“ ყველაზე ხშირად აკრძალვადი წიგნი გახლდათ. 1957 წელს ავსტრალიაში ამერიკის ელჩმა ამ ქვეყანას „ჭვავის ყანის“ დიდი ტირაჟი აჩუქა, მაგრამ მთელი პარტია საბაჟოზე დააკავეს. საგამომცემლო სახლები აღშფოთებული საზოგადოების ზეწოლას ვერ უძლებდა და წიგნის ტირაჟს საწყობებიდან აქრობდა. სად მიჰქონდათ? არავინ იცის. არა მგონია, — ავტორის საკუჭნაოში. 1963 წელს ოჰაიოს შტატში წიგნში „ანტითეთრული“ განწყობები და „უხამსობები“ წაიკითხეს. სკოლებში მოსწავლეების მშობლები კოლექტიურ წერილებს წერდნენ და სელინჯერის გმირს გმობდნენ. 1978 წელს ვაშინგტონის შტატში სელინჯერს პროკომუნისტობაც კი დასწამეს, თანაც „ყანაში“ 785 ცალი გინება დაუთვალეს; 1980-ში წიგნი ალაბამას ბიბლიოთეკებიდან გაარა; 1987-ში ჩრდილოეთ დაკოტაში მშობლებმა ჰოლდენში ღვთისმგმობიც კი დაინახეს — წიგნი კვლავ აიკრძალა. 1994 წელს კი ნიუ-ჰემპშირის (სელინჯერი იქ ცხოვრობდაძ ქალაქ ჰოფსთაუნში სასკოლო მმართველობამ მშობელთა მოთხოვნით „ჭვავის ყანა“ „ვულგარული სიტყვებისა“ და „სექსუალური აღწერილობის“ გამო აკრძალა.



მთელი წიგნიდან განსაკუთრებით ცხადად ერთი ჩემი საყვარელი მომენტი მახსოვს, როცა ბარში სახელად „იასამნისფერი დარბაზი“ ჰოლდენი ერთ გოგონას, მარტის, ჯითერბარგს (ბუგი-ვუგისა და როკ-ენ-როლის მსგავსი ცეკვაძ ეცეკვება: „მასთან ერთად ცეკვა იგივეა, მთელს დარბაზში თავისუფლების ქანდაკება რომ ათრიო. რაღაც უნდა მოვიფიქრო, რომ მისი თრევა ასე მოსაწყენი არ იყოს. მე ვუთხარი, რომ გერი კუპერმა, კინომსახიობმა აგერ იქით, დარბაზში გაიარა. — სად, სად? — იგი ძალიან ანერვიულდა“...

48 საათში ჰოლდენის სევდა უფრო გაღრმავდა, გაიზარდა... სელინჯერის მოთხრობებს (განსაკუთრებით „ჭვავის ყანას“ძ ყოველთვის ახლდა რაღაც ბლუზურ-არამაჟორული, ნაღვლიან-არაჰეპიენდური, უსუსური, ამაო, განწირული, არაკლოუნადური ბუნტის ინტონაციის შეგრძნება, რომელსაც არა აქვს მაზინას „კაბირიის ღამეების“ ფინალური ღიმილი. „ჭვავის ყანის“ პირველი და შემდგომი თაობის თაყვანისმცემლების, ჭეშმარიტი და ცრუ სარანგების თბილი სახლებიდან შვილები ისევ გარბიან, თუმცა უკვე არც ისე ხშირად. მე კი ისევ იმ აზრზე ვარ, რომ ჯულიეტა კოლფილდის როლს ძალიან კარგად შეასრულებდა. რაც შეეხება „იასამნისფერ დარბაზში“ ჰოლდენისა და ქანდაკების ცეკვას... რაც უფრო შორდები დიდი ბორნით ოკეანის ცივ წყალში, ქარსა და ნისლში გახვეულ მწვანე ფერის „თავისუფლების ქალს“ და მსოფლიოს დედაქალაქის მიწას უახლოვდები, იგი სულ უფრო და უფრო პატარავდება, ჯერ ჰოლდენისხელა, მერე კი მის უმცროს დაზე — ფიბიზე უფრო პატარა ხდება. ასე უფრო ადვილია, ერთი წამით მაინც წარმოიდგინო, როგორ ცეკვავენ „ამარკორდში“ გადასული ადამიანები და ქანდაკებები, მათ შორის — ჰოლდენი-მაზინა და „ლიბერტი“ — ღია იასამნისფერნისლოვან დარბაზში ნინო როტას მუსიკასზე არა ცალ-ცალკე, როგორც ფელინის ფილმშია, არამედ ერთმანეთთან...

**ია მერკვილაძე,**
**აშშ, ნიუ-იორკი 29.01.10**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შევარდნაძე მკვლელობაში ბრალდებას უარყოფს



**საქართველოში ხმაურიანი სკანდალია. ქვეყნის ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოფილმა თანამებრძოლებმა ბრალი დასდეს მას თავისი წინამორბედის — ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში.**

ეჭვი გაახმიანეს ამჟამად რუსეთში მცხოვრებმა უშიშროების სამსახურის ყოფილმა შეფმა იგორ გიორგაძემ და თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა. ეს მოხდა კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრაზე, გამოუცნობ ვითარებაში დაღუპული საქართველოს პირველი პრეზიდენტის უფროს ვაჟიშვილთან. „თეთრი მელა“ ყველა ბრალდებას უარყოფს. „მე არ გამიცია ბრძანება გამსახურდიას მოკვლაზე!“ — კატეგორიულად აცხადებს შევარდნაძე.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც სათავეში უდგას დროებითს საპარლამენტო კომისიას თავისი მამის დაღუპვის ვითარებათა გამოკვლევის შესახებ, ესაუბრა გიორგაძესა და კიტოვანს მოსკოვში გასულ კვირას. კონსტანტინეს მიერ გაკეთებული დასკვნა სავსებით მოსალოდნელი აღმოჩნდა. დევნილმა ქართველმა პოლიტიკოსებმა მას აცნობეს: ზვიადის ჩამოშორებაში ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო სწორედ ედუარდ ამბროსიევიჩი.

პირველი პრეზიდენტის შვილმა, რომელმაც ამას წინათ დატოვა „შეურიგებელი ოპოზიციის“ რიგები მამის დაღუპვის გამოძიების კომისიის შექმნის სანაცვლოდ, განაცხადა მოსკოვური საუბრების სხვა დეტალების შესახებაც, რაც საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ გამსახურდია-უფროსი მოკლეს და არა თითქოს მან თავი მოიკლა 1993 წლის 31 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში სოფელ ძველ ხიბულაში.

მაგალითად, კიტოვანმა განაცხადა: გამსახურდიას მოკვლისთვის „გადაიხადეს“ 50 ათასი დოლარი. მან იმ კაცის სახელიც კი დაასახელა, ვინც ეს ფული მიიღო. თუმცა პრეზიდენტის შვილი მას ჯერჯერობით არ ასახელებს. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა აგრეთვე, რომ გამსახურდია მოკლული იქნა ორი და არა ერთი გასროლით.

შევარდნაძე გვარწმუნებს: მას არავისთვის დაუვალებია ზვიადის ლიკვიდაცია: „მასზე გამოცხადდა ძიება. მაგრამ ბრძანება მოკვლის შესახებ არ ყოფილა“. ექს-პრეზიდენტის სიტყვებით, ძიებას — უფრო სწორად გამოკვლევას — აწარმოებდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის ორი ჯგუფი გენერალ გია გულუას და ავთანდილ იოსელიანის მეთაურობით. ორივე ამჟამად გარდაცვლილია.

სსრ კავშირის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ეჭვს გამოთქვამს როგორც გიორგაძისა და კიტოვანის, ისე კონსტანტინე გამსახურდიას გულწრფელობაზე. გიორგაძეზე გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა 1995 წლის აგვისტოში „თეთრ მელაზე“ თავდასხმის ბრალდებით. მას შემდეგ იგი სამშობლოში აღარ უნახავთ. იმავე წელს შევარდნაძემ თენგიზ კიტოვანი ჩასვა ციხეში ხუთი წლით, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისთვის.

**კირილ კოლოდინი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# „პრემიერ-მინისტრი მოკლეს“

**საქართველო აღნიშნავს 41 წლის პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვის მეხუთე წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით ქართველი ოპოზიციონერები გამოვიდნენ სკანდალური განცხადებებით, რომლებმაც, მათი აზრით, ეჭვქვეშ უნდა დააყენოს ნათელი პოლიტიკოსისა და მისი მეგობრის რაულ იუსუპოვის (იგი იყო საქართველოს სამხრეთი რეგიონის ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე) სიკვდილის მიზეზის ოფიციალური ვერსია.**

როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, 2005 წლის 3 თებერვალს დაღუპულები მოიწამლნენ მოუწესრიგებელი გამათბობელის მხუთავი გაზით, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ კონსპირაციულ ბინაზე თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ობიექტურობისთვის საქართველოს მთავრობამ გამოკვლევისთვის მოიზიდა ამერიკის გამოკვლევათა ფედერალური ბიუროს ექსპერტები, საკითხები იმასთან დაკავშირებით, მართლაც უბედური შემთხვევით დაიღუპნენ თუ არა ისინი, წლების გასვლის მიუხედავად, ბუნდოვანი რჩება.

ოპოზიციური მოძრაობის „თეთრების“ ლიდერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ აქვს სენსაციური აუდიოჩანაწერი, რომელიც გაკეთებულია მობილურ ტელეფონზე მაშინ, როდესაც საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ზურაბ ჟვანიას შემდეგ განიხილავდნენ, თუ როგორ მოახდინონ უბედური შემთხვევის ინსცენირება და როგორ უკეთ მიაწოდონ ცნობა ამის შესახებ საზოგადოებრიობას. თემურ შაშიაშვილმა ჯერჯერობით დაასახელა მხოლოდ ვიცე-პრემიერის, ევროპული და ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის სახელი, ვისი ხმაც, თითქოსდა, გამოირჩევა ჩანაწერში.



ჩინოვნიკმა ეს უმალვე უარყო, მაგრამ ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ მალე გამოაქვეყნებს მთლიან განაშიფრს და ეს გამოიწვევს სერიოზულ სკანდალს.

საინტერესო აღიარებით გამოვიდა კონფლიქტების მოწესრიგების ყოფილი მინისტრი გიორგი ხაინდრავაც თბილისის ყოველკვირეულ გაზეთ „ასავალ-დასავლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ბინაში საბურთალოს ქუჩაზე, როგორც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, გამომძიებლებმა მაგიდაზე აღმოაჩინეს კონიაკი და ძეხვის ნაწარმის ნარჩენები. ხაინდრავა კი ამტკიცებს, რომ 2 თებერვალს დღისით ჟვანიასთან ერთად ისადილა და მან თქვა, რომ არ ჭამს ხორცს. ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა აგრეთვე გაიხსენა, რომ პრემიერ-მინისტრი ძალიან ბევრს ეწეოდა, ამიტომ ნებისმიერ დროს შენობაში ფანჯარა ღია იყო, რამაც უნდა გამორიცხოს გაზით მოწამვლის ვერსია. ამ და სხვა დეტალების საფუძველზე ხაინდრავა აკეთებს დასკვნას: „ეს იყო მკვლელობა, კარგად მოფიქრებული, ჩაფიქრებული და განხორციელებული“. მისი რწმუნებით, ჟვანია კონსპირაციულ ბინაში მიიყვანეს უკვე გარდაცვლილი. „გამოკვლევა არ დახურულა, — განაცხადა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა. — თუ საქმე დამთავრებულია, მისი გაცნობა უნდა შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს. მაშასადამე, იქ ძალიან ბევრი შეუსაბამობაა“. გიორგი ხაინდრავა საუბრობს ტრაგედიის პოლიტიკურ მოტივებზე: „ჟვანიასთვის მიუღებელი იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ავანტიურისტული პოლიტიკა, ის მეუბნებოდა, რომ ამისგან დისკომფორტს განიცდის“.

მაგრამ ბევრი ქართველი ექსპერტი ამბობს იმის შესახებ, რომ ჟვანიას მკვლელობა ყველაზე ნაკლებად აძლევდა ხელს სააკაშვილს. პრემიერი ხომ, რომელსაც ჰქონდა უზარმაზარი შრომისუნარიანობა და უნარი გვერდი აევლო პოლიტიკური რიფებისთვის, დიდ შეღავათს აძლევდა პრეზიდენტს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში. გარდაცვლილი პრემიერის ძმა გიორგი მიიჩნევს, რომ 2005 წლის 2 თებერვლის შესახებ მთელი სიმართლე ცნობილი გახდება მხოლოდ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ზურაბ ჟვანიას პიროვნება ნიშნული იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის. მაგრამ გახდება კი ოდესმე ცნობილი პასუხები შეკითხვებზე: „ვისთვის იყო ეს ხელსაყრელი?“, „როგორ მოხდა ეს?“ და რას შეცვლიან ეს პასუხები წლების შემდეგ?

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ვისთანაც „რევოლუციური სამეულიდან“ (ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი) 2003 წლის გადადგომის შემდეგ ურთიერთობას ინარჩუნებდა მხოლოდ დაღუპული პრემიერ-მინისტრი, გვითხრა: „ზურაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ქვეყანა თავიდან აიცილებდა დღევანდელ სერიოზულ შინაპოლიტიკურ განხეთქილებას, არ დაიწყებდა ომს სამხრეთ ოსეთში, ესე იგი ქვეყანა განვითარდებოდა უფრო ჰარმონიულად და მშვიდად“. ჩვენი თანამოსაუბრე მიიჩნევს, რომ „უფრო ბალანსირებული იქნებოდა პოლიტიკა დასავლეთის და რუსეთის მიმართულებითაც“.

ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ „პრემიერი ჟვანია მოკლეს“, მაგრამ ვერსიის შესახებ ურჩევნია აზრი არ გამოთქვას.

ზურაბ ჟვანიას დარჩა მეუღლე და სამი შვილი. ოჯახი ოთხშაბათს მივა ეკლესიაში, რათა პატივი მიაგოს ყოფილი პრემიერის ხსოვნას. რაც შეეხება ბინას საბურთალოს ქუჩაზე, იქ დაბრუნდა მისი გამქირავებელი დიასახლისი ეკა კიკიანი, რომელიც იქ ცხოვრობს მეღლესთან და ბავშვთან ერთად. ამბობს, რომ განსაკუთრებულ დისკომფორტს არ განიცდის, მაგრამ მაინც ოცნებობს გაყიდოს „ცუდი“ ბინა და შეიცვალოს მისამართი.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

# ტიმოშენკო სკანდალისთვის ემზადება

**ტიმოშენკო ამბობს, რომ კიევი „ბოევიკებითაა“ გარშემორტყმული. იანუკოვიჩი ელოდება პროვოკაციებს მეტოქისგან. ხომ არ გადაიძცევა უკრაინის არჩევნების მეორე ტური ალიაქოთად?**
**ს.იაკოვლევი, ორიოლი**

ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებენ ვ.იანუკოვიჩის გამარჯვებას: მასსა და ი.ტიმოშენკოს შორის დაშორებამ შეიძლება 5-დან 10 პროცენტამდე მიაღწიოს. „თუ ტიმოშენკო დათმობს სულ რაღაც 3 პროცენტს, გაიშლება კამპანია არჩევნების უკანონოდ ცნობის შესახებ, — მიიჩნევს ალექსეი ვლასოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტსაბჭოთა სივრცის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი. — სხვათა შორის, სწორედ ასეთი შედეგის შემდეგ მეორე ტურში წინა არჩევნებზე, დაიწყო „ნარინჯისფერი“ რევოლუცია. იულია ტიმოშენკოს ბიუროს მომხრეები შექმნიან მაქსიმალურ დაძაბულობას უბნებში იმ მიზნით, რომ დაადასტურონ ხმის მიცემათა გაუმჭვირვალობა და უპატიოსნება. ტიმოშენკოს სიტყვები კი „ბოევიკების შესახებ“, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას — ეს მხოლოდ წინასაარჩევნო საფრთხობელაა.

**უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატს ვიქტორ იანუკოვიჩს მესამე შვილიშვილი შეეძინა.**

ბავშვი დაიბადა მისი უმცროსი შვილის ვიქტორის ოჯახში. უფროს შვილს ალექსანდრეს უკვე ორი ვაჟიშვილი ჰყავს. 17 იანვარს უკრაინაში გაიმართა არჩევნების პირველი ტური. იანუკოვიჩმა მოაგროვა ხმების 35,32 პროცენტი, იულია ტიმოშენკომ — 25,05 პროცენტი.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## დედამიწის ზურგზე



**ირანმა გამოსცადა ახალი რაკეტმზიდი და კოსმოსში „ცოცხალი“ კაფსულა გაუშვა**

ირანის საკუთარი წარმოების რაკეტმზიდის „სიმორგის“ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ამას გარდა ირანმა კოსმოსში გაუშვა რაკეტა „კავეშგიარ-3“ ცოცხალი ორგანიზმების კაფსულით. ამერიკის შეერთებული შტატები კი ამ დროს აგრძელებს საკითხის განხილვას ქვეყნის წინააღმდეგ შესაძლო სანქციების შესახებ.

* * *

**პენტაგონი ვერ ხედავს საფრთხეს რუსეთსა და ჩინეთში**

ამის შესახებ არის საუბარი ამერიკის შეიარაღებული ძალების გეგმაში უახლოესი ოთხი წლისთვის, რაც, ფაქტობრივად, ვაშინგტონის ახალ თავდაცვის დოქტრინას წარმოადგენს. დოკუმენტის თანახმად, პენტაგონი მთავარ საფრთხეს ხედავს საერთაშორისო ტერორისტულ ქსელებში და მეამბოხე დაჯგუფებებში, აგრეთვე კიბერტერორიზმში, რის წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც გადაისვრის დიდ ძალებს.



* * *

**„ალ-ყაიდა“ აუცილებლად შეეცდება მოაწყოს ტერორისტული აქტი აშშ-ს წინააღმდეგ უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში**

ეს გაირკვა კონგრესის სენატის დაზვერვის სპეციალურ კომიტეტში. ამერიკელი სპეცსამსახურები დარწმუნებული არიან, რომ ალყაიდა „შეინარჩუნებს გადაჭრით განზრახვებს“ — მიაყენოს ახალი დარტყმა ამერიკის შეერთებულ შტატებს შიგნით „სულ ცოტა მანამ, სანამ არ იქნებიან განადგურებული ან ხელში ჩაგდებული უსამა ბილ ლადენი და აიმან აზ-ჟავახირი“.




* * *

**ბრაზილიაში ავტოკატასტროფაში დაიღუპა 8 კაცი, 35 დაჭრილია**

ფასიან სწრაფ გზატკეცილზე შორს მიმავალი ავტობუსი,რომლის სალონშიც 39 მგზავრი იყო, მოულოდნელად გადავიდა შემხვედრ ზოლზე და შეეჯახა დიდტვირთიან ავტომობილს. ავტობუსის მძღოლის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მუხლით „მკვლელობა გაუფრთხილებლობის შედეგად“.



დიდი ტერორი?

სოვეტიზმის გარდაქმნას ისინი უკავშირებდნენ „ახალი ადამიანების“ – ახალგაზრდებისა და დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულების: მეცნიერების, ინჟინრების, მფრინავების, სამხედრო მოსამსახურეების, სტახანოველების, რომლებიც ცდილობდნენ გარდაქმნილიყვნენ განსაკუთრებულ არისტოკრატიად – გააქტიურებას. მლადოროსებს იმედი ჰქონდათ, რომ თავისი ისტორიული მისიის განმტკიცებითა და შემეცნებით, „ახალი ადამიანები“ შეძლებენ ბოლო მოუღონ მატერიალიზმს, ინტერნაციონალიზმს და საბჭოთა ხელისუფლების ეგალიტარიზმს, მოახდენენ ძლევამოსილ ეროვნულ რევოლუციას – რასაკვირველია, უცხოელთა ჩაურევლად.

მლადოროსებს სურდათ ხელი შეეწყოთ ამ პროცესისთვის. მათ თავი „მეორე საბჭოთა პარტიად“ გამოაცხადეს, რომლის მიზანიც პირველის, ძველის შეცვლა იყო. თავად ისინი ძალიან შორს იყვნენ ისტორიული პესიმიზმისგან, საუბრებისგან „რუსეთის დაღუპვის“ შესახებ, გამუდმებული ტირილისგან მსხვერპლისა და სიღატაკის შესახებ. მლადოროსები ირწმუნებოდნენ, რომ „ნებისმიერი საშინაო შფოთი საბოლოოდ მხოლოდ ეპიზოდია“.

მლადოროსების სტრატეგია იყო, რომ არა მხოლოდ ებრძოლონ „არასწორ“ რევოლუციას, არამედ მიიყვანონ იგი იმ შედეგამდე, რომელიც პირდაპირ იმის საპირისპირო იქნებოდა, რაც მის ხელმძღვანელებს სურდათ. ამიტომ მათ სურდათ არა მხოლოდ ბოლშევიზმის დაძლევა, არამედ ზოგიერთი მისი მომენტი მიეყვანათ ეროვნულ პატრიოტიზმამდე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა სტალინის მდგომარეობაზე რევოლუციურ მოძრაობაში. სტალინს გათვითცნობიერებული ჰქონდა თავად რევოლუციის აუცილებლობა, თუმცა ისიც ესმოდა, რომ თავდაპირველად იგი გაათავისუფლებს დიდ დამანგრეველ ენერგიას. აქედან მოდის მისი მოწოდებანი რევოლუციური პროცესის მშვიდობიანი განვითარებისკენ, აპელაცია ზოგადსახალხო (და არა კლასობრივ) ინტერესებზე და მონაწილეობის მიუღებლობაზე მასობრივ, „მუშურ-ჯარისკაცურ“ გამოსვლებში. სტალინმა თავისი თავი ნახა რევოლუციური გამოსვლის სრულიად სხვა სპეციფიკურ დარგში. ის პასუხისმგებელი იყო იმისთვის, რომ რევოლუცია აღმოჩენილიყო რაც შეიძლება ნაკლებად რევოლუციური და დამანგრეველი. შემდგომშიც ი.სტალინი ძალისხმევას არ იშურებდა სწორედ ამ მიმართულებით. როდესაც მას მიეცა საშუალება გამხდარიყო პირველი პირი სახელმწიფოში, შეეცადა შეეცვალა რევოლუციური პროცესის მსვლელობა, გადაეყვანა რევოლუცია ნგრევიდან მშენებლობაზე.

რასაკვირველია, ნიჰილიზმის აღმოფხვრა მოხდებოდა უსტალინოდაც. ეს ობიექტური პროცესია. მაგრამ სუბიექტური, პიროვნული ფაქტორიც ბევრ რამეს ნიშნავს. კონტრრევოლუცია შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვანაირად. არ არის გამორიცხული ეროვნული კატასტროფის ვარიანტიც. მაგალითად, ნაპოლეონ ბონაპარტმა ბევრი რამ გააკეთა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ნიჰილისტური შედეგების აღმოფხვრისთვის ისე, რომ უარი არ უთქვამს ამავე დროს ნამდვილად მნიშვნელოვან მონაპოვრებზე. მან განამტკიცა სახელმწიფო და მორალი, საფრანგეთი ძლიერ სახელმწიფოდ გადააქცია. მაგრამ მისმა ავანტიურიზმმა საგარეო პოლიტიკაში მიიყვანა ქვეყანა უსაშინლეს სამხედრო დამარცხებამდე და ხანგრძლივ ეროვნულ დამცირებამდე. გამარჯვებულ სახელმწიფოებს საერთოდ სურდათ მოესპოთ საფრანგეთის სახელმწიფოებრიობა. მხოლოდ ჩვენი იმპერატორის ალექსანდრე I-ის მყარმა პოზიციამ გაუწია მას წინააღმდეგობა.

სტალინი რომ არ ყოფილიყო, მის საქმეს ვინმე სხვა გააკეთებდა. მაგრამ მთელი საკითხი ისაა, როგორ გააკეთებდა ის ამას. ნაპოლეონის მსგავსი ავანტიურისტები მაშინ ბლომად იყვნენ.

მაგრამ გაიმარჯვა სტალინმა. და მისთვის დამახასიათებელმა გაბედულებამ და სიფრთხილემ რუსეთი ზესახელმწიფოდ აქცია, რომლის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალითაც ჩვენ დღემდე ვსარგებლობთ.

## თავი 2.
## „ტირანის“ გამოცანა
## მოულოდნელი ლიბერალიზმი

როგორც ჩანს, სტალინი სულაც არ ყოფილა რევოლუციური რადიკალიზმის მოტრფიალე – არც საგარეო, არც საშინაო პოლიტიკაში. მაგრამ მაინც რა მოვუხერხოთ რეპრესიებს? იქნებ რადიკალურ კონსერვატორ სტალინს მაინც ჰქონდა მიდრეკილება სიმკაცრისადმი და ამ ვითარებამ გამოიწვია მისი წინააღმდეგობრიობა საშინაო პოლიტიკაში? საეჭვოა. შევეცადოთ განვიხილოთ ეს თემაც. ვნახოთ – ჰქონდა თუ არა იოსებ სტალინს მიდრეკილება რეპრესიული პოლიტიკისადმი. რაც არ უნდა ილაპარაკო სტალინის კონსერვატიზმზე და სტალინურ სიფრთხილეზე, 1937-1938 წლების მასობრივ რეპრესიებზე თავად ფაქტი ხომ სახეზეა. და ეს უნდა აიხსნას.



# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

უწინარეს ყოვლისა, მოდით ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ თავად სტალინი სულაც არ ყოფილა რეპრესიების მოსიყვარულე. ის, რასაკვირველია, იყენებდა მათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ გარდაუვლად მიიჩნევდა. შესაძლებლობის ფარგლებში გაურბოდა მათ ან ამსუბუქებდა.

აი რამდენიმე უკიდურესად საჩვენებელი მაგალითი. თავად ტროცკი თავისი შვილის ლ.სედოვისადმი მიწერილ წერილში (1937 წლის 19 ნოემბერი) აღიარებდა, რომ სტალინი, მისგან და წითელი ბელადებისგან განსხვავებით, ამბოხებული კრონშტადტის იერიშის წინააღმდეგი იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ მეამბოხეები თავად მოახდენდნენ კაპიტულაციას.




კიდევ ერთი მაგალითი. 1928 წელს მოეწყო პროცესი ეგრეთ წოდებულ „შახტის საქმეზე“. მასზე ასამართლებდნენ ინჟინერ-სპეციალისტებს, რომლებსაც მავნებლობაში სდებდნენ ბრალს. პოლიტბიუროში ერთმანეთს შეეჯახა ორი მიდგომა ბრალდებულთა ბედის შესახებ. „ჰუმანისტი“ და „ლიბერალი“ ნ.ი. ბუხარინი თავის „მემარჯვენე“ თანამოაზრეებთან – ა.ი.რიკოვთან და მ.პ.ტომსკისთან ერთად მოითხოვდა სიკვდილით დასჯას. „სისხლისმსმელი“ ტირანი სტალინი კი კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

სტალინი წინააღმდეგი იყო თავად ბუხარინის სიკვდილით დასჯისაც. ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე (1937 წელი) პარტიის ყოფილ „რჩეულს“ რიკოვთან ერთად ბრალი დასდეს „კონტრრევოლუციურ“ საქმიანობაში. მათი მომავალი ბედის გადასაწყვეტად პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია. მისი მუშაობის დროს წამოაყენეს სამი წინადადება. სახალხო კომისარმა ნ.ი. ეჟოვმა წამოაყენა წინადადება – გადაეცეს ბუხარინისა და რიკოვის საქმე სასამართლოს შემდგომ მათს დასახვრეტად. კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ.პ.პოსტიშევმა შემოიტანა წინადადება – გადაეცეს მათი საქმე სასამართლოს დახვრეტის გარეშე. სტალინის წინადადება კი იყო – შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ გადასახლებით. ეს წინადადება დოკუმენტირებულია, ის არის კომისიის 1937 წლის 28 თებერვლით დათარიღებული სხდომის ოქმში.

უეჭველია, სტალინი დაინტერესებული იყო ბუხარინისა და რიკოვის ჩამოშორებით პოლიტიკური საქმიანობისგან (მათი ცენტრალური კომიტეტიდან და პარტიიდან გარიცხვით), მათი სისხლი მას არ სწყუროდა. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის უფრო რადიკალურმა წევრებმა სტალინს მხარი არ დაუჭირეს. დამახასიათებელია, რომ მათ შორის აღმოჩნდნენ რეპრესიის ისეთი „უდანაშაულო“ მსხვერპლები, როგორებიც იყვნენ უკვე ხსენებული პოსტიშევი, ს.ვ.კოსიორი (უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ი.ე.იაკირი (კიევის სამხედრო ოლქის სარდალი). ამავე დროს ლიბერალურ წინადადებას მხარი დაუჭირეს „სისხლიანმა სტალინურმა ჯალათებმა“ ვ.მ.მოლოტოვმა და კ.ე.ვოროშილოვმა. და მაინც სტალინმა მიაღწია გადაეცათ საქმე მოკვლევისთვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, რათა არ შეეცვალათ სამართალდაცვის ორგანოები.

უფრო ადრე, 1936 წელს, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე მან მოუწოდა ბუხარინისა და რიკოვის ბრალმდებლებს, არ იჩქარონ დასკვნები და ყურადღებით გამოიკვლიონ საქმე. საინტერესოა, რომ ბრალმდებლად კვლავ გამოდიოდნენ „უკანონოდ დაზარალებული“ კოსიორი, დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი რ.ი.ეიხე, დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს.ა. სარქისოვი. ასევე საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ აგვისტო-სექტემბერში კოსიორი იყო ბუხარინის დამცველთა შორის, რომლის წინააღმდეგაც ჩვენება მისცა მოსკოვის პირველ პროცესზე. მოგვიანებით ჩვენ კიდევ შევჩერდებით ამ მეტამორფოზაზე, რომელიც პოლიტიკური ვითარების შეცვლით აიხსნება.

სტალინი სულაც არ ყოფილა მკაცრი ოპოზიციის ყველა ყოფილი მონაწილის მიმართ. არანაირი ზომები არ მიუღია ყოფილი აქტიური ტროცკისტების – ა.ა.ანდრეევისა და ნ.ს. ხრუშჩოვის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი საერთოდ საიდუმლოდ ინახავდა თავის ტროცკისტულ წარსულს და მის შესახებ სტალინს უამბო მხოლოდ 1937 წელს, მოსკოვის პარტიული კონფერენციის კულუარებში. სტალინს, თავად ხრუშჩოვის მონათხრობით, მისთვის ერთი გადაკრული სიტყვაც არ უთქვამს. მან რჩევაც კი მისცა ნიკიტა ხრუშჩოვს არავისთვის ეთქვა ამის შესახებ, რომ ნერვები არ დაეწყვიტა. მაგრამ საუბრის დროს იქვე მყოფმა მოლოტოვმა დაარწმუნა სტალინი, მიეცა ხრუშჩოვისთვის რჩევა, ეთქვა თავის ყოფილ ტროცკისტულ წარსულზე.

მეტად საინტერესოა მიწათმოქმედების სტალინელი სახალხო კომისრის ი.ა.ბენედიქტოვის ცნობა: „... იმ საკითხებში, რომლებიც შეეხებოდა მავნებლობაში ბრალდებულთა ბედს, სტალინი მაშინდელ პოლიტბიუროში ლიბერალად ითვლებოდა. როგორც წესი, ის ბრალდებულთა მხარეს დგებოდა და მათს გამართლებას ცდილობდა, თუმცა, რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც. მეც რამდენჯერმე ვყოფილვარ სტალინის შეჯახებისა კაგანოვიჩთან და ანდრეევთან, რომლებიც ამ საკითხში „ქორებად“ ითვლებოდნენ. სტალინის რეპლიკების აზრი იყო – ხალხის მტრებთანაც კი უნდა იბრძოლო კანონიერების ნიადაგზე, არ გადაცდე მას...“

სტალინმა ხელიც არ ახლო თავის ყველაზე მთავარ ოპონენტს საგარეო პოლიტიკის დარგში მ.მ.ლიტვინოვს – მას შემდეგაც კი, როდესაც ის აღარ იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. მან შეუნარჩუნა სიცოცხლე და თავისუფლება გ.ი.პეტროვსკის, რომელიც მონაწილეობდა ბევრ ანტისტალინურ ინტრიგაში და სტალინზე დაუფარავად ლაპარაკობდა ცუდს. დამახასიათებელია, რომ სწორედ პეტროვსკი იყო სტალინის გადაყენების მცდელობის ინიციატორი XVII ყრილობაზე, როდესაც ზოგმა დელეგატმა დააყენა წინადადება სკპ (ბ) სათავეში დაეყენებინათ ს.მ.კიროვი. მიუხედავად ამისა, პეტროვსკის რეპრესიები არ უწვნევია და სტალინზე რამდენიმე წლით მეტიც იცოცხლა.

* * *

ბევრ რამეზე მეტყველებს ა.ა.სოლცთან დაკავშირებული ისტორია. ის ერთხანს იყო სკპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1937 წლის შემოდგომაზე სოლცი, უკვე სსრ კავშირის პროკურორის თანაშემწე სასამართლო-საყოფაცხოვრებო სექტორში, მოსკოვის სვერდლოვის რაიონის პარტიულ აქტივზე გამოვიდა სსრ კავშირის პროკურორის ა.ი. ვიშინსკისა და რეპრესიული პოლიტიკის მწვავე კრიტიკით. სოლცმა მოითხოვა განსაკუთრებული კომისიის შექმნა ვიშინსკის საქმეთა გამოსაკვლევად. კრება შოკირებული იყო ამ გამოხდომით, გაისმა მოწოდებანიც – ანგარიში გაესწორებინათ „ცხვრის ტყავში გახვეული მგლისთვის“. მაგრამ არაფერი საშინელი არ მომხდარა. არ მომხდარა სოლცის რეპრესია, არამედ ის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან – რამდენიმე თვის შემდეგ, 1938 წლის თებერვალში ავადმყოფობასთან დაკავშირებით. დაუოკებელი მოხუცი ამას არ შეურიგდა და დაბეჯითებით მოითხოვდა სტალინთან შეხვედრას, თითქოსდა მას სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არ ჰქონებოდეს. ის ორი თვის განმავლობაში ფსიქიატრიულ კლინიკაშიც მკურნალობდა. ომის წლებში სოლცი მზრუნველობით იქნა ევაკუირებული ტაშკენტში, სადაც გარდაიცვალა კიდეც თავისი სიკვდილით გამარჯვებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ომის შემდეგ სტალინმა უარი თქვა მარშალ გ.კ.ჟუკოვის რეპრესიაზე, ვის მიმართაც ჰქონდა სიძულვილი და ვინც ხშირად და მწვავედ ედავებოდა ბელადს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი აწვდიდა სტალინს „სიგნალს“ მარშალის „ღალატის“ შესახებ. არის განმარტება, რომლის მიხედვითაც სტალინს ეშინოდა „ხელი ეხლო“ „ხალხის საყვარელი ადამიანისთვის“. მაგრამ ეს სრული სისულელეა. ჯერ ერთი, სტალინის ავტორიტეტი გადასწონიდა ათეულობით ჟუკოვის ავტორიტეტს. მეორეც, ჟუკოვის ავტორიტეტი არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორიც ჰქონდათ როკოსოვსკის ან კონევს. ჯარისკაცებს ის არ უყვარდათ – ომის დროს ადამიანთა სიცოცხლის უპატივცემლობის გამო. და მესამეც, სტალინს ადვილად შეეძლო მოეწყო მისთვის რაღაც საავტომობილო კატასტროფის მაგვარი. და მაინც მას მისთვის ხელი არ უხლია, შემოიფარგლა მხოლოდ მინისტრის მოადგილის პოსტიდან ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად გადაყვანით.

დამახასიათებელია, რომ სტალინის გამოსვლებში არასოდეს ყოფილა მტრების განსჯის ის პათოსი, რომელიც ახასიათებდა 30-იანი წლების ბევრ ორატორს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ის გამოხატავდა მწუხარებას იმის გამო, რომ ესენი თუ ისინი მტრის ბანაკში აღმოჩნდნენ. ეს შენიშნა ი.მუხინმა საინტერესო, თუმცა მეტად სადავო ნაშრომში „სტალინისა და ბერიას მკვლელობა“. მას მოჰყავს საინტერესო ციტატა სტალინის გამოსვლიდან სამხედრო საბჭოს სხდომაზე 1937 წლის 2 ივნისს. მასში ბელადი იძლევა დაპირებას, აპატიოს ყველას, ვინც შეცდა. თავს ვერ ვიკავებ, ნაწილობრივ არ გადმოგცეთ ეს მონაკვეთი: „ვფიქრობ, რომ ჩვენს ხალხს შორის, როგორც სარდლობიდან, ისე პოლიტიკური ხაზიდან, ჯერ კიდევ არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგეთა შორის. მას რაღაც უამბეს, უნდათ მისი გადაბირება, აშინებდნენ. შანტაჟს უწყობდნენ. კარგი იქნება დავნერგოთ ისეთი ტაქტიკა, რომ, თუ ასეთი ხალხი მოვა და თავად გვიამბობს ყოველივეს, – ვაპატიოთ მას... ზოგიერთი კი ელოდა – ჰოდა, უნდა ვაცნობოთ ამ მომლოდინეებს, რომ საქმე იშლება. ასეთ ხალხს უნდა დავეხმაროთ, რომ მათ ვაპატიოთ... პატიებაა საჭირო, სიტყვას გაძლევთ, ვაპატიებთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ“.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-20.

მძლეოსნობა

## ქევხიშვილმა ისევ გაიმარჯვა




**ტეხასის შტატის ქალაქ გენშვალში საუნივერსიტეტო პირველობაზე კვლავ წარმატებით იასპარეზა ქართველმა მძლეოსანმა მარიამ ქევხიშვილმა, რომელიც ამერიკაში სწავლობს და ვარჯიშობს.** მარიამმა ბირთვი 18.47 მეტრზე კრა და ისევ პირველი ადგილი დაიკავა. ქევხიშვილი ოკეანის გაღმა კიდევ ოთხ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას, ზაფხულში კი ევროპის ორ ჩემპიონატში იასპარეზებს.

რაგბი

## ბორჯღალოსნები შაბათს იწყებენ




**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2010 წლის მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად ემზადება. საამისოდ საკმარისია, ევროპის ერთა თასის 2010 წლის გათამაშებაში სამი მატჩი მოიგოს.** ბორჯღალოსნები პირველ შეხვედრას 6 თებერვალს გამართავენ. მათი მეტოქე გერმანიის ეროვნული გუნდი იქნება. ამ დღეს ტიმ ლეინის შეგირდთაგან მოედანზე შეიძლება ვიხილოთ: დავით ზირაქაშვილი, დავით ხინჩაგიშვილი, დავით ქუბრიაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, ირაკლი ნატრიაშვილი, ილია ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, გია ლაბაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესო უდესიანი, ლაშა თავართქილაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, დიმიტრი ბასილაია, რატი ურუშაძე, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გიორგაძე, დავით კაჭარავა, ალექსანდრე თოდუა, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ირაკლი ყიასაშვილი და ლაშა ხმალაძე.

ფეხბურთი

## ჯანოს ფასი იზრდება




**ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ჯანო ანანიძე მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად საწვრთნელ შეკრებაზეა ანთალიაში, სადაც ამხანაგურ მატჩებს მართავს. ბოლო შეხვედრა რუსებს „შტურმთან“ ჰქონდათ და 1:0 გაიმარჯვეს.** ის ერთადერთი გოლი ანანიძემ გაიტანა. საგულისხმოა, რომ ბოლო დროს ქართველი ფეხბურთელით ბევრი ცნობილი გუნდია დაინტერესებული, ჯანოს ფასმაც საგრძნობლად მოიმატა. უცხოური პრესის ცნობით, სატრანსფერო თანხამ 2,3 მილიონ ევროს მიაღწია, ანუ ნახევარი წლის განმავლობაში 750 ათასი ევროთი გაიზარდა. არ არის გამორიცხული, რომ წლევანდელი სეზონის ბოლომდე ჯანოზე ფასი გაორმაგდეს და იგი ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი გახდეს.

სუმო

## განა მართლა ღვინის ბრალია?!

**იაპონიაში დიდი აჟიოტაჟია შექმნილი სუმოში „უდიდესი ჩემპიონის“, იმპერატორის თასის 25-გზის მფლობელის, მონგოლი ასასერიუს გარშემო. თითქოსდა ის ტოკიოში იანვრის შუა რიცხვებში მთვრალი მონაწილეობდა ჩხუბში.**

სუმოს იაპონიის ასოციაციამ (JSA) დაიწყო ამ ინციდენტის გამოძიება, 16 იანვარს, ერთ-ერთი ღამის კლუბის მახლობლად რომ მოხდა. იაპონელი ჟურნალისტების მტკიცებით, ჩემპიონი ისეთი მთვრალი იყო, რომ მას ამ ჩხუბის წვრილმანები არ ახსოვს. ცნობილია მხოლოდ ისე, რომ ასასურიუმ ჩხუბში თავის ოპონენტს ცხვირი გაუტეხა. ეს კი სუმოისტისთვის დიდი სირცხვილია. იმასაც ამბობენ, რომ საგანგებოდ აზღვარზღვარებენ დიდი ჩემპიონის ბრალს.



წინა კვირაში 28 წლის ასასორიუმ კარიერაში ოცდამეხუთეჯერ მოიპოვა პრეზიდენტის თასი. იქნებ ვილაც-ვილაცეებს შეშურდათ კიდევაცო. თან ისიც გაიხსენეს, რომ ცნობილი სუმოისტი ერთხელ უკვე მოხვდა სკანდალურ სიტუაციაში — ის დისკვალიფიცირებული იქნა სამშობლოში — მონგოლეთში ექიმის დაუკითხავად ფეხბურთის თამაშისთვის.

წყალბურთი

## უკრაინაში უკრაინის გავლით




**ექვსი წელიწადია, უკრაინაში სახელოვანი წყალბურთელის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსი ბარკალოვის ხსოვნის ტურნირი იმართება. წლეულს ამ შეჯიბრებაში (ასპარეზობას დნეპროძერჟინსკი მასპინძლობდა) ოთხი გუნდი მონაწილეობდა.** მთავარი პრიზისთვის მასპინძლებთან ერთად თურქეთის, საქართველოს და პოლონეთის გუნდებიც იბრძოდნენ. ჩვენმა წყალბურთელებმა პირველი შეხვედრა თურქებთან 8:15 დათმეს, შემდეგ პოლონელები დაამარცხეს 13:6, ასპარეზობის ბოლო დღეს კი უკრაინელებს დანებდნენ 8:10. პირველ ადგილზე თურქები გავიდნენ, მეორეზე — მასპინძლები, მესამე ადგილი საქართველოს ნაკრებს ხვდა.

ზვიად დავითიანის შეგირდები კვირის ბოლოს მარიუპოლში გაემგზავრებიან და უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე ტურში ჩაებმებიან. ისინი მეტოქეობას გაუწევენ ხარკოვის „ზმკ“-ს ლვოვის „დინამოს“ და ხარკოვის „სპი“-ს. პირველ ტურში ხუთიდან 4 შეხვედრა მოიგეს, ერთი ორთაბრძოლა დათმეს და ახლა მესამე ადგილზე არიან.

ძიუდო

## პარიზში იასპარეზებენ



**მომავალ უქმეებზე საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი ძიუდოისტთა „დიდი სლემის“ ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც უძლიერესი ფალავნები იასპარეზებენ.** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილი შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: დავით ასუმბანი, პაატა მერებაშვილი (60კ, უჩა ხუციშვილი, ნესტორ ხერგიანი (66კ, ნუგზარ ტატალაშვილი, გიორგი დილიბაშვილი (73კ, ლევან წიკლაური, იოსებ წელაური (81კ, საბა გავაშელიშვილი (90კ, ირაკლი ცირეკიძე, ნოდარ მეტრეველი (100კ, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი (+100კ.

ინტერნეტიდან

### „ფორმულისტებმა“ ტესტები დაიწყეს



**ვალენსიაში „რიკარდო ტერმო დი ჩესტეს“ ავტოდრომზე წინასაჩემპიონატო ტესტებში მონაწილეობა მიიღო ავტორბოლაში „ფორმულა-1“ სამი წლის შემდეგ დაბრუნებულმა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა. ის ახლა „მერსედესის“ შემადგენლობაშია.**

ვინაიდან ესპანეთის ავტოდრომებზე „ფორმულის“ გუნდებს სავარჯიშოდ დათმობილი აქვთ მხოლოდ 15 დღე, ყველა გუნდმა პირველ დღეს ლენჩზე ტრადიციული შესვენების გარეშე ივარჯიშა.

უნგრეთში მიღებული სერიოზული ტრავმის შემდეგ ტრასაზე პირველი წრეები დაარტყა ფელიპე მასამ. ის „ფერარის“ ნამდვილ სარბოლო ბოლიდზე ამჯერად პირველად დაჯდა.

ავტოდრომზე თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით იმ უსიამოვნებას, რუბენს ბარიკელოს რომ გადახდა, მისი „უილიამსი“ პირდაპირ ტრასაზე გაჩერდა გაკაპრიზებული ძრავის გამო. რამაც სხვასაც შეუშალა ხელი.

### ისევ და ისევ კანაევა!

**ერთხელ კიდევ გააოცა და გაახარა თავისი გულშემატკივრები და მხატვრული ტანვარჯიშის თაყვანისმცემლები ევგენია კანაევამ.** მონრეალში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპზე მას პირველობა არავისთვის დაუთმია. მან მრავალჭიდშიც გაიმარჯვა (113, 425 ქულა) და ცალკეულ სახეობებშიც — სახტუნაო — 28,275, რგოლი — 28,300, ბურთი — 28,200, ლენტი — 28,650. ლამაზმანმა ტანმოვარჯიშემ მნიშვნელოვნად გაუსწრო თავის ძირითად მეტოქეებს — დიმიტრევასა და კონდაკოვას.




### პრეზიდენტის მეოცე შვილი

**ნუ გაგიკვირდებათ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯეიკობ ზუმას კიდევ ერთი, მორიგი ბავშვი შეეძინა. ახალშობილის დედაა 39 წლის სონონო კხოზეა. ის ფეხბურთის მაგნატის ირვინ კხოზას ქალიშვილია. ბედნიერი პაპა ამავე დროს „ორლანდო პაირესტის“ მფლობელია, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და პრეზიდენტის პირველი მეგობარია.**

ახალშობილი პრეზიდენტის მე-20 შვილია. მას ტანდეიკილი მატინა ზუმა დაარქვეს. როგორც იტყობინებიან, დეკემბერში კხოზას ოჯახს ეწვივნენ პრეზიდენტის წარმომადგენლები, რათა მოელაპარაკათ ზოლუსების კანონების მიხედვით ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვისათვის ტრადიციული კომპენსაციის შესახებ.




შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ხუთჯერაა დაქორწინებული. ახლა მას სამი ცოლი ჰყავს.

**სურათზე: სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა მსოფლიო ჩემპიონატის თილისმით — ზაკუმით.**

### ლუკაშენკოსთან ითამაშებს?

**ბელორუსი ლამაზმანის ანა სემენოვიჩის დიდი გატაცებაა ჰოკეი. რამდენიმე დღის წინათ მომღერალი და მსახიობი კონტინენტალური ჰოკეის ვარსკვლავების მატჩზეც კი გამოვიდა. მას ბელარუსიის ნაკრებში მოხვედრაც უნდა.**

„ჩვენ შოუში „გამყინვარების პერიოდი“ ჰოკეის საკუთარი გუნდიც კი გვყავს, — განაცხადა ანიამ, — ჩვენ გვინდა კიდეც, პრეზიდენტის გუნდს შევთავაზოთ შეხვედრა“, შეგახსენებთ, რომ ჰოკეი ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს დიდი გატაცებაა. მას ხშირად ხედავენ ყინულის მოედანზე.

ლამაზმანმა ისიც აღიარა, რომ თუ კი შესაბამისი შეთავაზება იქნება, მზადაა ბელარუსის სახელით გამოვიდეს ევროვიზიის მუსიკალურ კონკურსში. „იქ ხომ ფონოგრამის გარეშე მღერიან, ფონოგრამამ კი რვაფეხას საცეცებივით დაიპყრო ჩვენი შოუ-ბიზნესი. ამიტომაც ვინც გაბედავს უფონოგრამოდ სიმღერას — ყოჩაღია! გამორიცხული არ არის ბელარუსის სახელით გამოსვლაც!“



ინფორმაცია

## ორი სახელმწიფოს დაპირისპირებას სარწმუნოება დაავიწყებს



რუსეთის პატრიარქ კირილის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ორი სახელმწიფოს დაპირისპირების მძიმე პერიოდი წარსულს ჩაბარდეს.

რუსეთ-საქართველოს ეკლესიების ურთიერთობის მნიშვნელობაზე პატრიარქმა საარქიეპისკოპოსო კრებაზე 2010 წლის მოხსენებით გამოსვლისას ისაუბრა.

პატრიარქის განმარტებით, რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ორი ქვეყნის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის შემონახულ კონტაქტებს ენიჭება.

## საპრეზიდენტო არჩევნებზე უკრაინას ქართველი დამკვირვებლები აღარ ეყოლება

საქართველო უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე დამკვირვებლებს აღარ გაგზავნის.

ინიციატივა პრეზიდენტ სააკაშვილს ეკუთვნის, რომელიც გუშინ გამართულ ბრიფინგზე მისმა პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გაახმოვანა.

— პრეზიდენტი ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მოუწოდებს უკრაინაში მყოფ ქართველ დამკვირვებლებს სამშობლოში დაბრუნდნენ, — განაცხადა მანჯგალაძემ.

ამასთან, მისივე განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის პოზიციაა, რომ საქართველო არ ჩაერიოს უკრაინელი ხალხის არჩევანში, რის კონტექსტშიც, „ჩვენი მხრიდან სრული ნეიტრალიტეტი იქნება დაცული“.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველო უკრაინელი ხალხის მიერ არჩეულ ნებისმიერ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებს და შეეცდება, ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადაიყვანოს.

## ნისლმა აეროპორტის მუშაობა შეაფერხა

ძლიერი ნისლის გამო თბილისის აეროპორტი გუშინ 10 საათის განმავლობაში პარალიზებული იყო.

გადაიდო თითქმის ყველა რეისი, რომელიც თბილისიდან უნდა შესრულებულიყო. უამინდობის გამო მგზავრებს ღამის გათენება აეროპორტში მოუწიათ.

სტრასბურგში ვერ გაფრინდნენ ქართველი ჟურნალისტებიც, რომლებიც ნატოს მინისტერიალზე დასასწრებად მიემგზავრებოდნენ.

პრობლემები შეექმნათ ვენეციის კომისიის წევრებსაც, რომლებიც თბილისში სამუშაო ვიზიტით გამთენიისას უნდა ჩამოფრენილიყვნენ. ძლიერი ნისლის გამო, თვითმფრინავი, რომელშიც ვენეციის კომისიის წევრები ისხდნენ, სტამბულის აეროპორტმა მიიღო.



## ერთად ცხოვრებას ერთად ქურდობა ურჩევნიათ

რუსული მედიის ინფორმაციით, სანკტ-პეტერბურგში მოქმედმა ქართველებისა და აფხაზებისაგან შემდგარმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ე.წ. „ბარსეტოჩნიკებმა“ ერთგვარი რეკორდი მოხსნეს. მათ მოქალაქეებს დაახლოებით ერთი მილიონი რუსული რუბლი მოპარეს. მთელი თანხა ბოროტმოქმედებს წვრილი კუპიურებით ჰქონდათ შეგროვებული. ბანდა სულ სამი წევრისაგან შედგებოდა.

— ფაქტობრივად წაუგებელ სცენარს ისინი სპეციალურად ავტომობილების მფლობელების მიმართ იყენებდნენ. ორი ბოროტმოქმედი ავტოსაგზაო შემთხვევის იმიტაციას ახდენდა, ამ დროს კი მესამე ავტომობილს „ასუფთავებდა“. ორი ბოროტმოქმედი ადგილზე იქნა დაკავებული მესამე კი მათ თავად ჩააბარეს სამართალდამცავებს, — იუწყება რუსული მედია.

## ქრთამის აღების ბრალდებით ინსპექტორ-გამომძიებელი დააკავეს

შსს-ის ინფორმაციით, ბორჯომის სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი არჩილ კალანდაძე, რომელიც მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ხის გადამამუშავებელი საამქროების მეპატრონეებს ხელშეუხებლობასა და მოსალოდნელი პრობლემების მოგვარებას ჰპირდებოდა, ქრთამის სახით სისტემატურად იღებდა ფულს.

დაკავებული პოლიციელი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მოქმედი კანონმდებლობით, ქრთამის არაერთგზის აღება თავისუფლების 11 წლამდე აღკვეთით ისჯება.

ჯი-ეიჩ-ენი

ქართველები ოკეანის გაღმა

# თინათინ ჯაფარიძის დიპლომატიური სიმღერა საქართველოზე

**2010 წლის ბოლოს ნიუ-იორკელები და ქალაქის სტუმრები ბროდვეის სცენაზე ქართველი თანამემამულეებისთვის უკვე კარგად ნაცნობი ჩვენებურის — თინათინ ჯაფარიძის ავტობიოგრაფიული წიგნის მიხედვით შექმნილი სცენარისა და მის მიერვე შესრულებული მუსიკალური პარტიის სპექტაკლს იხილავენ. თუმცა წარმოდგენა ჯერჯერობით უსათაუროა, რადგანაც მუსიკალურ ნარატივზე სახელწოდების მორგება არც თუ ისე იოლი საქმე ყოფილა.**



შარშან ევროვიზიის კონკურსზე თინათინის მიერ დაწერილმა სიმღერამ, რომელსაც ისლანდიელი იოჰანა ასრულებდა, ბოლო 10 წლის მანძილზე ევროვიზიაზე გაჟღერებულ სიმღერებს შორის საუკეთესოს სახელი დაიმსახურა. ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორს სკანდინავიიდან წელსაც, ამჯერად შვედებმა ისევ და ისევ ევროვიზიის კონკურსისთვის სიმღერის შექმნის თხოვნით მიმართეს, მაგრამ თინიკომ უარით უპასუხა. სამაგიეროდ, თანხმობა საქართველოდან წამოსულ წინადადებაზე ევროვიზიის კონკურსზე გასამგზავრებლი სოფო ნიჟარაძისთვის სიმღერის შექმნის თაობაზე დიდი სიხარულით განაცხადა. მანამდე კი იანვრის თვეში ყველა ცნობილი ამერიკელი ჯაზმენისა და პოპ მომღერლის საყვარელ სამუსიკო კლუბის Metropoliten Room გადაჭედილი დარბაზის სცენაზე ერთი საათის განმავლობაში თინათინის მიერ შესრულებული 12 სიმღერა — მიშელ ლეგრანი, დეივ გრუსინი, ბარბარა სთრაიზანდის სიმღერების ავტორების მიერ სპეციალურად ქართველი გოგონასათვის დაწერილი მელოდია და თავად მომღერლის მიერ შექმნილებიც ჟღერდა. ოდნავ უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ თითოეულ სიმღერას ავტორის მიერ მოთხრობილი პროლოგი და ეპილოგი ახლდა. სიმღერები თავის ისტორიებთან ერთად ნოტების 12-მარცვლიან მძივად იყო აწყობილი. ამბობს, რომ ერთ საათში ლამის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნაგროვები ემოციები „დახარჯა“ და ამიტომ ახლა თავს უფრო მშვიდად და თავისუფლად გრძნობს.

თინათინი ადრე სხვადასხვა ფესტივალებსა და კომერციულ პროექტებში აქტიურად მონაწილეობდა. იმ დღეს კი ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მისი პირველი სოლო-კონცერტი შედგა. თანაც პირველად სწორედ იქ აჟღერდა დეივ გრუსინისადმი მიძღვნილი მისი სიმღერა, რომელიც პატარა თინასა და დიდი დეივის ეპისტოლარული მეგობრობის 10 წლის შესახებ მოგვითხრობს. კონტრაქტის თანახმად 2010 წლის პირველ მაისს თინათინ ჯაფარიძემ წიგნის წერა უნდა დაასრულოს. ამ თარიღამდე ცოტა ხნით ადრე კი წლების განმავლობაში მისთვის ახლობელ, ცნობილ ამერიკელ კომპოზიტორსა და პიანისტს დეივ გრუსინს ბოლოს და ბოლოს იხილავს. მას ხომ პირისპირ ჯერ არასოდეს შეხვედრია. მიმხელს, რომ ეს მისთვის ჯადოსნური წუთები იქნება, აპრილის ბოლომდე საკმაო დროა, მაგრამ უკვე ნერვიულობს.

— ეს კონცერტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, — ამბობს მომღერალი. — გარდა ჩვეულებრივი საკონცერტო დატვირთვისა იგი, ფაქტობრივად, დაგვეხმარა ცხადად წარმოგვედგინა, თუ რა და როგორ უნდა შევთავაზოთ ნიუ-იორკის ბროდვეის მრავლისმნახველ პუბლიკას. მით უმეტეს, როცა საუბარია ასეთი სახელოვანი სცენისთვის ჩემნაირი ახალბედა შემსრულებლის რეპერტუარის შერჩევის თაობაზე. ამჟამად კი ახალი სასიხარულო ემოციით ვიტვირთები. უზომოდ მიხარია, რომ ამა წლის ევროვიზიის საკონკურსო სიმღერისთვის სწორედ ჩემი სამშობლოდან მომმართეს, დაინტერესდნენ ანუ სიმღერის დაწერა შემიკვეთეს და, ბუნებრივია, თანამშრომლობა ოფიციალურადაც გავაფორმეთ: კონტრაქტს ხელი მოვაწერე. ინგლისურენოვანი სიმღერის „არასოდეს დავნებდები“ (Never Give in) ტექსტი დავწერე, „დემო“ ჩავწერე და თბილისში შესარჩევი ტურისთვის, რომელიც 3 თებერვალს სრულდება, გადავაგზავნე კიდეც. თბილისში თებერვლის ბოლოს ღია ეთერში სოფო ნიჟარაძე 5 საკონკურსო სიმღერას შეასრულებს, მსმენელები და ჟიურის წევრები კი მხოლოდ ერთ საუკეთესოს შეარჩევენ.

— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო გაათმაგებული ყურადღების ქვეშ მოექცა. — დასძენს თინათინი. „ვფიქრობ, რომ ჩემთვის პირადად, მთელი საქართველოსთვის და მისი გულშემატკივრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადატანილი დიდი ტრამვისა და ტკივილის მიუხედავად, ჩვენ მაინც ოპტიმისტ ქვეყნად და ხალხად აღვიქმებოდეთ და ამიტომაცაა ჩემი სიმღერა მაჟორული, ხოლო ტექსტი — თბილი და დიპლომატიური... დიპლომატიურობა კი ის თვისებაა, რომელიც, როგორც ჩანს, გაეროში მუშაობისას და დიპლომატებისგან ინტერვიუების აღებისას „გადამედო“...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“. საკ.კორ**
**აშშ, ნიუ-იორკი.**

ხსოვნა

# გურამ გიგინეიშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ექიმი ოტოლარინგოლოგი, მედიცინის დოქტორი გურამ გიგინეიშვილი. იგი ათეული წლების მანძილზე წარმატებით მუშაობდა საქართველოს წამყვან ოტორინოლარინგოლოგიურ კლინიკებში. ცნობილი იყო როგორც მაღალი კვალიფიკაციის ქირურგი და მეცნიერი.

როგორც მეცნიერი მკვლევარი ბატონი გურამი იყო ავტორი მრავალი შრომისა და გამოგონების. კერძოდ, მის მიერ დამუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა მეტყველებითი აუდიომეტრია ქართულ ენაზე. მან, პირველმა საქართველოში, საკუთარი ხელით ააგო აკუსტიკური იმპედანსომეტრი. გ. გიგინეიშვილი იყო ცნობილი პედაგოგი, იგი ათწლეულების განმავლობაში ასწავლიდა და უზიარებდა მდიდარ გამოცდილებას სტუდენტებსა და ახალგაზრდა ექიმებს.

გურამ გიგინეიშვილი სარგებლობდა პაციენტებისა და კოლეგების დიდი პატივისცემით და სიყვარულით.

ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის კოლექტივი პატივს მიაგებს ამ თვალსაჩინო ადამიანის ნათელ ხსოვნას.

ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის კოლექტივი.

შენდება!..

## შარშან სამი ახალი ციხე გახსნეს

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გასული წლის ანგარიშშია ნათქვამი, ექსპლუატაციაში შევიდა გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის თანამედროვე სასჯელაღსრულების დაწესებულება (თებერვალი), რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის ციხის პირველი კორპუსი (მარტი) და ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ოქტომბერი).

გარდა ამისა, რუსთავში აშენდა ახალი შენობა სამინისტროს სპეცრაზმისთვის და თბილისში, №5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაიხსნა ცალკე საცხოვრებელი არასრულწლოვანი გოგონებისთვის.

საქართველოს სულ 17 759 მსჯავრდებული ჰყავს. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში განაცხადეს, 2 912-ს აღწევს პირობით პატიმრობაში მყოფ პირთა რიცხვი.

შეგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ერთი წლის წინათ 2009 წლის თებერვალს შეიქმნა.

ჯი-ეიჩ-ენი

განცხადება

ხორციელდება კელოგ ბრაუნ ენდ რუთ ინქის საქართველოს ფილიალის (რეგისტრირებული 09.10.2002 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი №206120829, იურიდიული მისამართი: ისნის რაიონი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი, თბილისი, საქართველო) ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა და კრედიტორებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №6, მწვანე შენობა, ტელ: 24-30-30, 24-30-31.

*უფლება მისილი პირი გიორგი ბახუტაშვილი*

## ყველაფერი ყველაფერზე



### მთელი სიცოცხლე, თავიდან ბოლომდე

**– მე ვერ ვიცოცხლებ, თუკი მთელ ჩემს ცხოვრებას ხელოვნებას არ მივუძღვნი. მე ხელოვნება მიყვარს, როგორც მთელი ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი.** ყველაფერი, რასაც ხელოვნებისთვის ვაკეთებ, უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს.

ამ აზრს პაბლო პიკასო ყოველთვის ხაზგასმით გამოთქვამდა.

### 150 ათასი თუ 500 ათასი

**რიჩარდ ჰებერი (1773-1833წ.) ინგლისელი არისტოკრატი იყო. წიგნების შეგროვება ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დაიწყო და თანდათან ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ სხვა რამ უკვე აღარ აინტერესებდა. ადამიანებთან ურთიერთობა საერთოდ შეწყვიტა, არსად აღარ ჩნდებოდა, ბიბლიოთეკების, წიგნების მაღაზიების და აუქციონების გარდა. თუკი გაიგებდა, რომ სადმე რაიმე იშვიათი წიგნი იყიდებოდა, მყისვე იქითკენ მიეშურებოდა, თუნდაც რამდენიმე ასეული მილით დაშორებული ყოფილიყო. როგორც ყველა სამაგალითო მანიაკი, იშვიათი წიგნის ერთი ცალით არ კმაყოფილდებოდა, იძენდა მეორე და მესამე ეგზემპლარებს, რათა სხვა კოლექციონერებს არ ჩაეგდოთ ხელში. ინგლისის გარდა, მისი აგენტები მთელ ევროპაში ეძებდნენ წიგნებს. ისე კი არავინ იცოდა, რამდენი ტომი იყო მის ბიბლიოთეკაში. ზოგი ასახელებდა 150 ათას წიგნს, ზოგიც – 500 ათასს.**



განა ასე ძნელია ერთი ბიბლიოთეკის წიგნების ზუსტი აღრიცხვა? ამ შემთხვევაში კი მართლაც ძნელი იყო. თავისი წიგნები ჰებერმა 8 სხვადასხვა ადგილას მოათავსა. მისი ერთი პროვინციული და ორი ლონდონური სასახლე სარდაფებიდან სხვენამდე წიგნებით იყო სავსე. როცა იქაც ალარაფერი ეტეოდა, ჰებერმა დაიქირავა სახლი ოქსფორდში. რასაც საზღვარგარეთ იძენდა, ის ინგლისში აღარ შემოჰქონდა, პარიზში, ანტვერპენსა, ბრიუსელსა და ჟენევაში აბინავებდა.

### „მთლად ლაფს ნუ დაგვასხამ, წაიღე, გაიტანე“



**კომპოზიტორმა ფრანც ლეჰარმა ვენის თეატრ „ან დერ ვინ“-ში თავისი ოპერეტა „მხიარული ქვრივი“ მიიტანა. დირექტორი კარჩაგი პირდაპირ ყალყზე შედგა: „ეს მუსიკა – არავითარი მუსიკა არ არის. პრემიერას სრული ჩავარდნა ელის“. რეპეტიციები კი დაიწყო, მაგრამ არც ერთი ახალი ტანისამოსი არ შეუკერიათ, სხვა ნაწარმოებების დეკორაციები გამოიყენეს.**

პრემიერის წინა დღეს დირექტორმა ლეჰარს შესთავაზა, უარი ეთქვა თავის ნაწარმოებზე: „მთლად ლაფს ნუ დაგვასხამ, წაიღე, გაიტანე“. კომპოზიტორი ცრემლებს ვერ იკავებდა, მზად იყო დათანხმებოდა, მაგრამ მსახიობებმა დაიყაბულეს, ერთხელ მაინც ვითამაშებთო.

უკვე პირველმა მოქმედებამ მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა, შემდეგ კი ოვაციას ბოლო არ უჩანდა. „ავტორი! ავტორი!“ ლეჰარი მრავალგზის გამოიძახეს, საინტერესოა, რომ მაყურებლებს ტაშს... დირექტორიც უკრავდა!

„მხიარულმა ქვრივმა“ მთელი მსოფლიო დაიპყრო.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

### 4 თებერვალი

**ხსენება წმიდა მოციქულ ტიმოთესი (96წ.) და წმიდა მოწამე ანასტასი სპარსისა (628წ.), მოწამე ეპისკოპოსთა: მანუელისა, გიორგისა, პეტრესი და ლეონტისა. ხუცესთა: სიონიასი, იოანესი, ლეონტისა, გაბრიელისა და პაროდისა და მათთან 337-ისა (817წ.**



ამოდის 07.10
ჩადის 17.20



ამოდის 23.59
ჩადის 09.32

### დაიბადნენ:

**1831 – ნიკოლაი ლესკოვი,** რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1895 წელს.

**1868 – სიმონ ესაძე,** პირველი კინოსცენარისტი ქართულ კინოხელოვნებაში. გარდაიცვალა 1927 წელს.

**1881 – ფერნან ლეჟე,** ფრანგი ფერმწერი. გარდაიცვალა 1955 წელს.

**1902 – ჩარლზ ლინდბერგი,** ამერიკელი მფრინავი. 1927 წელს პირველმა გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს. იფრინა 5800 კმ, რასაც 33 საათი და 30 წთ. მოანდომა. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1924 – კონსტანტინე წერეთელი,** ენათმეცნიერი და სემიტოლოგი, აკადემიკოსი.

**1927 – რევაზ გამყრელიძე,** მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

**1615 – ჯოვანი ბატისტა პორტა,** იტალიელი ფილოსოფოსი.

**1919 – ვასილ როზანოვი,** რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი.

**1928 – ანტონ ლორენცი**, ნიდერლანდელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1797** – ეკვადორში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, თითქმის მთლიანად განადგურდა ქალაქი კიტო. დაიღუპა 40 ათასი ადამიანი.

**1945** – დაიწყო სამი ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) იალტის ყირიმის კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებებმა ევროპის გეოპოლიტიკური სიტუაცია განსაზღვრა.

**1948** – კუნძული ცეილონი (შრი ლანკა) დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

**1976** – ძლიერი მიწისძვრა მოხდა გვატემალაში, რის შედეგადაც დაიღუპა 22 ათასი ადამიანი.

**1998** – ძლიერი მიწისძვრა მოხდა ავღანეთისა და ტაჯიკეთის საზღვართან, რომელმაც სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**წამების აკრძალვის საერთაშორისო დღე.**

**შრი ლანკა** – დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7412 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4201 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7626 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7277 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.6224 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1670 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1768 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1669 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5505 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +11 |
| ქუთაისი. | +10 – +18 |
| ბათუმი. | +13 – +15 |
| ზუგდიდი. | +13 – +19 |
| თელავი. | +2 – +9 |

## კადრი



## ანეკდოტები

– წარმოგიდგენია? – გუშინ შევედი სადარბაზოში და იქ მანიაკი არ დამხვდა?! – ეუბნება დაშა დაქალს.

– ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა!

– აი, სწორედ ეს წამოიძახა იმანაც და გაიქცა...

* * *

ცოლ-ქმარი საწოლში წევს.

– ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ცუდი არ იქნებოდა, ხუთი კილოგრამი რომ დაგეკლო, – ამბობს ქმარი.

– ეს პრობლემა არ არის, – მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით ეუბნება ცოლი. – გერმანელი



მეცნიერების გამოკვლევებით დადგენილია, რომ საამისოდ მთელი თვის განმავლობაში დღეში ერთხელ მაინც უნდა გქონდეს სექსი.

– არ არის საჭირო, ასეთიც მომწონხარ, – უპასუხებს ქმარი დიდი პაუზის შემდეგ.

* * *

არჩევნები ლატარიასთან უნდა გავაერთიანოთ. მაშინ ერთი ამომრჩეველი მაინც მოიგებს.

* * *

სახანძრო უშიშროების ზომების გამკაცრებასთან დაკავშირებით, დეპუტატებს ეკრძალებათ პარლამენტის შენობაში ქუდებით შესვლა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.